ახალი განათლება

2010 წელი, 29 აპრილი – 5 მაისი

ფასი 90 თეთრი

№15 (489) გამოდის 1998 წლიდან

წარუშლელი კვალით გაცოცხლებული ექსპონატები



„ბზობა“ (ასლი). „გულანი“, XVI საუკუნე

2010 წლის 14 აპრილს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის გალერეაში საქართველოს ეროვნული არქივის საცავებში დაცული კოლექციის – ძველი ქართული ხელნაწერი წიგნების, ისტორიული დოკუმენტების, მინიატურების მულაჟებისა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივის ხელნაწერი საგალობლების გამოფენა მოეწყო.

გამოიფინა **ლია სიხარულიძის, მარინა** და **ლიზი ჩქარეულების, თამარ გურაშვილის** და **ნანული შუბითიძის** ნამუშევრები – ისტორიული დოკუმენტების მულაჟები და მინიატურები: თამარ მეფისა და ერეკლე II-ის სიგელები; გიორგი II-ის 1072 წლის შეწირულობათა განახლების წიგნი შიო მღვიმის მონასტრისადმი (ეტრატი); 1123-1124 წლების დავით აღმაშენებლის ანდერძი შიო მღვიმისადმი (ეტრატი); პეტრე ბაგრატიონის ავტოგრაფი; სხვადასხვა სახარების, სამების ტაძარში დაბრძანებული დიდი სახარების მინიატურები; „ვეფხისტყაოსნის“ 1966 წლის საიუბილეო გამოცემის ასლი (მხედრული) და სხვ.

ასევე პირველად გამოიფინა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში დაცული ძმები კარბელაშვილებისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერი საგალობლების უნიკალური ნიმუშები. ექვთიმე კერესელიძესა და ფილიმონ ქორიძესთან ერთად რაჟდენ ხუნდაძემ და ძმებმა კარბელაშვილებმა ჩაწერეს და გადაარჩინეს ქართული გალობა (ხუნდაძე – იმერულ-გურული კილო, კარბელაშვილები – ქართლ-კახური გალობა, იგივე „კარბელაანთ“ კილო). აღსანიშნავია, რომ ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში ათას ოთხასამდე ნოტირებული საგალობელია დაცული.

ცისანა მარინდაშვილი, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი: *„ბუნებრივია, ეს გამოფენები გათვლილია ახალგაზრდებზე, გვინდა მათ ნახონ და დააკვირდნენ ჩვენ ხელნაწერ კულტურას. ძალიან ბევრი დამთვალიერებელი ჰყავს ამ გამოფენას სტუდენტების სახით.*

მთელი საქართველოს მასშტაბით ვაწყობთ ექსპედიციებს, აღვრიცხავთ თუკი ვინმე რამეს აკეთებს. წელს ვიყავით ყაზბეგსა და სვანეთში, შემოვიარეთ ყაზბეგის 14 და სვანეთის16 სოფელი. ყოველ ოჯახში ცალ-ცალკე შევდიოდით და ვეძებდით ქართულ სიძველეებს. ქართული ოჯახები, საბედნიეროდ, ამით მდიდარია. ამას წინათ, ქვილთის გამოფენა მოვაწყვეთ, ნამუშევრები სწორედ სვანეთის ოჯახებიდან ჩამოვიტანეთ, მათი ავტორები გარდაცვლილები არიან . მიმდინარე გამოფენაზე წარმოდგენილი მასალის უმეტესი ნაწილი არქივიდანაა წარმოდგენილი, ნაწილი კერძო საკუთრებაა. ავტორებსაც თავად მოვიძიებთ ხოლმე და შემდგომში ორგანიზებას ვუკეთებთ საინტერესო მასალების გამოფენას. მათთვისაც [illegible] ბუნებრივია, უფასოა.“

გვერდი 4

ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ გამარჯვებული

გვერდი 2

„გზამკვლევი“ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის

გვერდი 3

მიეძღვნა სკოლის იუბილეს

გვერდი 5

შოტლანდიური პოეზიის საღამო

გვერდი 5

საუბრები ბიბლიაზე

გვერდი 7

სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები

გვერდი 8

ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ გამარჯვებული

23 აპრილს, თბილისის პირველ საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ლელა წიქარიშვილი**), წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საინტერესო ღონისძიებები გაიმართა: მოეწყო „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნების გამოფენა-გაყიდვა; დაჯილდოვდნენ შიდა სასკოლო საფეხბურთო ჩემპიონატში გამარჯვებული მოსწავლეები. გამარჯვებულებს ჯილდოები განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ, **კოკა სეფერთელაძემ** გადასცა.

ამ დღეს სკოლის დირექციის, მოსწავლეთა თვითმმართველობისა და ახალგაზრდული ინტელექტ-კლუბის ინიციატივით, სკოლაში გაიმართა ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ დასკვნითი ეტაპი და გამარჯვებული გუნდების დაჯილდოება. გამარჯვებულებისთვის „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ“ პრიზები დააწესა. ინტელექტუალური თამაშის ფინალურ ტურში ექვსი გუნდი მონაწილეობდა: „რა? სად? როდის?“, „დაკარგული ტალანტები“, „ბორჯღალი“, „სარანგი“, „ლოგოსი“, „პირველები“.

პირველი ადგილი მოიპოვა X[1] კლასის გუნდმა „რა? სად? როდის?“; მეორე ადგილი – X[2] კლასის გუნდმა „დაკარგული ტალანტები“; მესამე ადგილი – IX[1] კლასის გუნდმა „სარანგი“.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ პირველი სკოლის ვოკალური წრის მოსწავლეები.

მარიკა ომანიძე, პირველი საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე, X[1] კლასის მოსწავლე: *„წიგნის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სკოლაში არაერთი საინტერესო ღონისძიება გაიმართა. გადავწყვიტეთ, საზეიმო ვითარებაში დაგვეჯილდოვებინა გამარჯვებული მოსწავლეები, რომლებიც ფეხბურთის შიდა სასკოლო ჩემპიონატში მონაწილეობდნენ. სკოლის დირექციის სახელით მათ მედლები და სიგელები გადაეცათ, გამარჯვებულ გუნდებს კი – თასები. დღეს, ასევე, სკოლაში გაიმართა ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ დასკვნითი ეტაპი, რომლის მთავარი მიზანი ინტელექტის დონის გამოვლინება და ამაღლებაა. ჩვენ ეს ნამდვილად შევძელით. შედეგით კმაყოფილი ვარ, იმ ბავშვებმაც კი, რომლებსაც აკადემიური მოსწრების დაბალი მაჩვენებელი აქვთ, გასაოცარი შესაძლებლობები გვიჩვენეს. მადლობა მინდა გადავუხადო ქალბატონ ლელა წიქარიშვილს ჩვენი მხარდაჭერისათვის“.*

ბექა ნამორაძე, საქართველოს ახალგაზრდული ინტელექტ-კლუბის „რა?სად? როდის?“ პრეზიდენტი: *„პირველი საჯარო სკოლა და საქართველოს ახალგაზრდული ინტელექტ-კლუბი ოთხი წელიწადია აქტიურად ვთანამშრომლობთ. დიდი მადლობა ქალბატონ ლელა წიქარიშვილს მხარდაჭერისთვის. შიდა სასკოლო ინტელექტუალური ჩემპიონატების ჩატარება ძალზე მნიშვნელოვანია. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება და გზა, რომ წავახალისოთ მოზარდები, შევაყვაროთ წიგნი, რათა მიიღონ მეტი განათლება და აიმაღლონ ინტელექტი. შესარჩევ ტურებზე ნათლად გამოიკვეთა, რომ მოზარდებში ინტელექტის დონე საკმაოდ მაღალია. უფროსები ხშირად ქილიკით აღნიშნავენ, რომ ჩვენი თაობა წიგნს დაშორდა და შესაბამისად, განათლების დონეც დაბალია. ეს სიმართლე არ არის. მოზარდების ლოგიკური აზროვნება, გამჭრიახობა გაოცებას იწვევს. დღევანდელ შეჯიბრში გამარჯვებული გუნდი მონაწილეობას მიიღებს თბილისის „რა? სად? როდის?“ ჩემპიონატში“.*

კოკა სეფერთელაძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე: *„პირველ საჯარო სკოლასთან განსაკუთრებული დამოკიდებულება მაკავშირებს, ვინაიდან მეც ამ სკოლის კურსდამთავრებული ვარ. მიხარია, ჩემი სკოლა ტრადიციებს რომ არ ღალატობს და კვლავაც საინტერესო ღონისძიებების ინიციატორია. ერთ დროს მეც აქტიურად ვმონაწილეობდი სკოლაში გამართულ ღონისძიებებში. რაც შეეხება, ზოგადად, ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ ჩატარებას, ვფიქრობ მნიშვნელოვანი და აუცილებელი პიროობაა მოზარდებში ინტელექტის დონის ამაღლებისათვის“.*

ლელა წიქარიშვილი, პირველი საჯარო სკოლის დირექტორი: *„პირველი საჯარო სკოლა რამდენიმე წელია, ახალგაზრდულ ინტელექტ-კლუბთან ერთად, ჩართულია „რა? სად? როდის?“ თამაშებში. გასულ წლებში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. წელს გადავწყვიტეთ სერიოზული ყურადღება მიგვექცია შიდა სასკოლო ჩემპიონატისთვის. ინტელექტუალური თამაშის დასკვნითი ეტაპი საგანგებოდ დავამთხვიეთ წიგნის საერთაშორისო დღეს. ამ დღეს სკოლაში მნიშვნელოვანი ღონისძიება გაიმართა. დღეს გადავწყვიტეთ ის მოსწავლეები დაგვეჯილდოვებინა, რომლებმაც წარმატებები მოიპოვეს სკოლის შიდა სასკოლო ფეხბურთის ჩემპიონატში. გამარჯვებულ მოსწავლეებს, სკოლის სახელით, გადავეცით ჯილდოები. ასევე, დღეს გამართული ინტელექტუალური თამაშის „რა? სად? როდის?“ გამარჯვებული – პირველი, მეორე და მესამე ადგილის მფლობელი გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით. გარკვეულწილად ღონისძიების ორგანიზება და რესურსების მობილიზება შესაძლებელი გახდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტ „ალუმნაის“ ფარგლებში. მოგეხსენებათ, ჩვენი სკოლა არაერთმა გამოჩენილმა ადამიანმა დაამთავრა, აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ პროექტის ფარგლებში, სკოლამ ძალიან დიდი მხარდაჭერა მიიღო ყოფილი კურსდამთავრებულების მხრიდან. სკოლის პედაგოგიურმა და სამეურვეო საბჭომ, ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, მიიღო გადაწყვეტილება, რომ რესურსების გარკვეული ნაწილი მოსწავლეთა ინტელექტუალურ წახალისებაზე, მათ მხარდაჭერასა და ხელშეწყობაზე დაიხარჯოს. ამ შემთხვევაში, სკოლის პრიორიტეტი, „ალუმნაის“ მიმართულებით, არის მოსწავლე და მისი წახალისება, ასევე, არასაგაკვეთილო ფორმების მხარდაჭერა.*

ინტელექტუალურ თამაშში „რა? სად? როდის?“ გამარჯვებულთათვის პრიზის სახით დაწესებულია თასი, წიგნები და კიდევ, სიურპრიზის სახით – ექსკურსიით დაჯილდოვება. ამ ხარჯებს სკოლის ადმინისტრაცია დაფარავს. აღსანიშნავია, რომ სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობა ძალიან აქტიურია. დღევანდელი ღონისძიებების როგორც სპორტული, ასევე ინტელექტუალურ-შემეცნებითი ნაწილი, სწორედ მათ მიერ არის ორგანიზებული“.

მაკა ყიფიანი

* * *

განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, **დიმიტრი შაშკინმა** პროფესიული სწავლების ცენტრ „სპექტრში“ ახალი სადურგლო საწარმო გახსნა და ავეჯის დამამზადებელი დანადგარის (წნეხის) გამოყენებით, პირველი პროდუქციის – ავეჯის წარმოებისთვის აუცილებელი ლამინატის გამოშვებას დაესწრო. მინისტრი სოხუმის მკვიდრ ეთნიკურ აფხაზ სტუდენტებსაც შეხვდა, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს, „სპექტრში“ საინფორმაციო ტექნოლოგიებს დაეუფლონ. ცენტრის დირექტორის, **ზაზა ავალიანის** განცხადებით, ახალი სასწავლო წლიდან სხვადასხვა სპეციალობაზე 9 გალელი სტუდენტის მიღებაც იგეგმება.

ამავე დღეს „სპექტრის“ რამდენიმე კურსდამთავრებულთან „ვუდსერვისის“ სამშენებლო და „აპექსსერვისის“ საყოფაცხოვრებო კომპანიების ხელმძღვანელებმა შრომითი ხელშეკრულება გააფორმეს. აღსანიშნავია, რომ „სპექტრის“ მიერ მომზადებული ყველა სპეციალისტი უკვე დასაქმებულია, ცენტრი იღებს შეკვეთებს პარტნიორი კომპანიებიდან და სისტემატურად ხდება სტუდენტთა მიზნობრივი გადამზადება.

„სპექტრში“ სტუმრობისას მინისტრმა ავტომექანიკოსის, ავტოსკოლის, არქიტექტურის, გარემოს მონიტორინგის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ელექტრომონტაჟის, ზოგადი პროფილის მშენებლის თეორიული სასწავლო კლას-კაბინეტები და ლაბორატორიები დაათვალიერა, შეხვდა სასწავლებლის პედაგოგებს, USAID- ის წარმომადგენლებსა და „სპექტრისა“ და, ნიდერლანდების სამთავრობო ორგანიზაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, სასწავლებელში სამუშაო ვიზიტით მყოფ ექსპერტს, **ხეის ზევენჰოვენს**. პროექტი, რომელსაც „სპექტრი“ ახორციელებს, მიზნად ისახავს ევროპული პროფესიული განათლების სტანდარტების დამკვიდრებას სასწავლებელში.

თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრი „სპექტრი“ მრავალპროფილიანი სახელობო სასწავლებელია, რომელშიც ამჟამად მომზადება-გადამზადების მოკლე და გრძელვადიან სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასურველ პროფესიას რვაასამდე სტუდენტი ეუფლება.

„სპექტრში“ პრიორიტეტულია სამშენებლო პროფილის სპეციალობები – კალატოზი, დურგალი, მეფილე-მომპირკეთებელი, მებათქაშე, ელექტრომემონტაჟე, სანტექნიკოსი, გზის მშენებელი, გეოდეზისტი, ელექტროშემდუღებელი, მებეტონე-მეარმატურე და სხვ. გარდა ამისა, ცენტრში ისწავლება ავტომექანიკოსის, კონდიცირებისა და მაცივრების ტექნიკოსის, გარემოს უსაფრთხოების მონიტორინგის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, საბუღალტრო, მდივან-რეფერენტის და სხვა სპეციალობები.

„სპექტრის“ კურსდამთავრებულთა პოტენციური დამსაქმებლები არიან: სამშენებლო კომპანია „აქსისი“; „არსი“, „ინჟმშენი“, „არქიტრავი“; ფირმები – „ბეკო“, „L-პლიუსი“, „ვუდსერვისი“, „აპექსსერვისი“, საავეჯო კომპანია „შნო“, მობილური კავშირგაბმულობის კომპანია „მობიტელი“, „მენაშენეთა ასოციაცია“; „თბილავიამშენი“, საავტომობილო გზების დეპარტამენტი, ქალაქის მუნიციპალიტეტის სამსახურები და სხვ.

პროფესიულ სასწავლებელს, 2007 წელს, პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის ფარგლებში, სრული მატერიალურ-ტექნიკური რეაბილიტაცია ჩაუტარდა, რაზეც 1 463 ათასი ლარი დაიხარჯა.

* * *

საქართველოს საჯარო სკოლებში ეროვნული შეფასება ჩატარდა, რომლის შედეგადაც დადგინდა, რა ცოდნა და უნარები აქვთ ქართულ ენასა და ლიტერატურაში მეცხრეკლასელ მოსწავლეებს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** სამინისტროში მოწვეულ პედაგოგებთან და ექსპერტებთან ერთად ეროვნული შეფასების შედეგების პრეზენტაციას დაესწრო, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ, საქართველოს მასშტაბით, 5 000-ზე მეტ მეცხრეკლასელ მოსწავლეს ჩაუტარდა.

ეროვნული შეფასება არის ფართომასშტაბიანი კვლევა, რომლის მიზანია ქვეყანაში ზოგადი განათლების ხარისხის შეფასება. კვლევის შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის დასახვეწად; ქვეყანაში მოსწავლეთა პროგრესის შესაფასებლად; რეკომენდაციების მოსამზადებლად როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე მასწავლებლებისთვის, სკოლის დირექტორებისთვის, მშობლებისთვის; სახელმძღვანელოების ავტორებისთვის; პოლიტიკოსებისა და გადაწყვეტილების მიმღებთათვის; განათლების ექსპერტებისთვის.

ეროვნული შეფასებისას გამოიყენება ტესტი, რომლის საფუძველზე ხდება ტესტირებაში მონაწილე ყველა მოსწავლის შედეგების განსაზღვრა და რაც მთავარია, დასკვნების გაკეთება ტესტირების საგანში ქვეყანაში არსებული ვითარების შესახებ.

ეროვნული შეფასების პროცესში მოსწავლეებთან ერთად ჩართულები არიან საგნის მასწავლებლები, სკოლის დირექტორები.

ეროვნულ შეფასებაში მონაწილეობა მიიღო **5 385-მა** მე-9 კლასის მოსწავლემ **231** საჯარო სკოლიდან, ამ სკოლების დირექტორებმა და ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებმა.

ეროვნული შეფასების შედეგების ანალიზში მონაწილეობდნენ როგორც ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ექსპერტები, ასევე 61 მოწვეული დარგის ექსპერტი.

მონაცემთა ფსიქომეტრული ანალიზის შედეგების მიხედვით, მოსწავლეთა 16%-ზე მეტმა მიღწევის მაღალი დონე აჩვენა, რაც საერთაშორისო სტანდარტით კარგი მაჩვენებელია. **რეგიონებს შორის საუკეთესო შედეგები აქვთ მოსწავლეებს თბილისში, კახეთსა და იმერეთში.** მე-9 კლასის მოსწავლეთა შედეგები გაცილებით უკეთესია დიდ ქალაქებში, ვიდრე დანარჩენ საქართველოში. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოირჩევა შემდეგი ქალაქები: **ქუთაისი, თბილისი, თელავი, რუსთავი.**

„გზამკვლევი“ საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის

საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიერ, სახელშეკრულებო საწყისებზე, მათ სარგებლობაში არსებული სახელმწიფო უძრავი ქონების (შენობა-ნაგებობები) მესამე პირებზე კონკურსის ფორმით დროებით სარგებლობაში გადაცემა

კითხვა - პასუხი

პატივცემულო მკითხველო, საკონსულტაციო/ანალიტიკური ჯგუფი **MES EXPERT** მოხარულია, გაზეთ „ახალ განათლებაში“ გამოქვეყნებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებების გზამკვლევის პირველმა თემამ - „საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საგანმანათლებლო და სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებების მიერ, მათ სარგებლობაში არსებული, უძრავი სახელმწიფო ქონების (შენობა-ნაგებობები) მესამე პირებზე დროებით სარგებლობაში გადაცემა“ – ესოდენ დიდი დაინტერესება გამოიწვია, რაც თქვენს მიერ ჩვენთვის დასმულ შეკითხვებში გამოიხატა. რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით გაგიწევთ კონსულტაციას.

უპირველეს ყოვლისა, გვინდა მოგახსენოთ, რომ ყოველი პასუხი თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე, თავად შეკითხვაში გადმოცემული ინფორმაციის შინაარსიდან იქნება მიღებული. ნუ გაგიკვირდებათ, თუ პასუხი მრავალმხრივი და შინაარსობრივად დიდი აღმოჩნდა, ვინაიდან თემები, რომლებზეც თქვენ შეკითხვები გაგიჩნდათ, მოცულობითია და პასუხის გაცემამდე მრავალი სახის ინფორმაციის დაზუსტებას მოითხოვს. შესაბამისად, რადგანაც ჩვენ ხსენებული დაზუსტების შესაძლებლობა არ გვაქვს, პასუხებიც შინაარსობრივად დატვირთული იქნება, თუმცა, დიდი იმედი გვაქვს, რომ თქვენ მიერ დასმულ შეკითხვებთან დაკავშირებით მიიღებთ ამომწურავ პასუხს.

I შეკითხვა: *სკოლის კვების ობიექტი გაცემულია იჯარით. წარმოდგენილია ნებართვები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან, თუმცა არ არის ჩატარებული არც კონკურსი და არც აუქციონი. როგორ შეიძლება ვიმოქმედოთ ასეთ სიტუაციაში?*

პასუხი: რამდენადაც შეკითხვიდან ირკვევა, სახეზეა უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის მარეგულირებელი კანონმდებლობის მოთხოვნათა ტიპური დარღვევა, რომელიც როგორც ფაქტი დარღვევად დაფიქსირდება ნებისმიერ შემთხვევაში – შემოწმებისას. ამავე დროს, დარღვევა განგრძობადი ხასიათისაა, ანუ გააჩნია მეორე მხარე. კერძოდ ერთია, როდესაც უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემა მოხდა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით, ხოლო მეორეა, როდესაც გრძელდება სარგებლობა დარღვევით გაცემულ ქონებაზე. შესაბამისად, დაწესებულებას აქვს მხოლოდ ერთი შესაძლებლობა 3 მოახდინოს დაწესებულების ბრალეულობით გამოწვეული ქონებით უკანონო სარგებლობის აღკვეთა, ვინაიდან კანონის დარღვევით დადებული გარიგება ბათილია. ამ შემთხვევაში, უძრავი ქონება შესაძლოა გაიცეს თავიდან, თუმცა ფაქტი, რომ იგი ერთხელ უკვე კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით იქნა გაცემული დარჩება უცვლელი.

II შეკითხვა: *უ ზუფრუქტის ფორმით ქონების გადმოცემაზე გაგ ზავნილია წერილი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროში, თუმცა პასუხი არ არის მიღებული (წერილი გაგ ზავნილია, დაახლოებით, 2-3 კვირის წინ). როგორ შეიძლება ვიმოქმედოთ ასეთ სიტუაციაში?*

პასუხი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, წარდგენილი განცხადება ექვემდებარება განხილვას და პასუხის გაცემას ერთი თვის განმავლობაში და ამ ვადაში არ იანგარიშება საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული უქმე და დასვენების დღეები. ამავე დროს გვინდა გაცნობოთ, რომ თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება შესაძლოა გამოიგზავნოს ფოსტის მეშვეობით და ამანაც იქონიოს ზეგავლენა მის დაგვიანებაზე. აქვე განგიმარტავთ, რომ ფოსტის მეშვეობით დაინტერესებული პირისთვის გაგზავნილი გადაწყვეტილება ძალაში შედის გაგზავნიდან მე-7 დღეს, თუ ადრესატმა იგი ამ ვადის გასვლამდე არ მიიღო. და ძალაში არ შედის საერთოდ, თუ ადრესატს იგი ფიზიკურად არ მიუღია.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს ქონება გადაეცემათ პირველადი გადაცემის წესით და მოხსენიებული არ არის, თუ სარგებლობის რა ფორმით უნდა იქნეს გადაცემული ეს ქონება (შესაძლოა, ეს აღარ იყოს უზუფრუქტი და იყოს სარგებლობის სხვა ფორმა).

III შეკითხვა: *ქონების დროებით სარგებლობაში გაცემასთან დაკავშირებული კონკურსის გამოცხადების შემდეგ შემოსულია 1 განცხადება. როგორ შეიძლება ვიმოქმედოთ ასეთ სიტუაციაში?*

პასუხი: იმ შემთხვევაში, როდესაც ქონების დროებით სარგებლობაში გაცემა ხდება კონკურსის წესით და კონკურსის გამოცხადების შედეგად დადგენილ ვადაში მოგმართათ თუნდაც ერთმა დაინტერესებულმა პირმა, რომლის წარმოდგენილი დოკუმენტაცია ექვემდებარება რეგისტრაციას და მას აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა კონკურსში, ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის პროცესი უნდა გაგრძელდეს ჩვეულებრივ, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.

კონკურსი არშემდგარად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევებში, თუ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან დადგენილ ვადაში არ იქნა შეტანილი არც ერთი განაცხადი ან წარდგენილი განაცხადებიდან არც ერთი არ აკმაყოფილებს კონკურსის პირობებს. ასეთ დროს კომისია იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის არშემდგარად გამოცხადების შესახებ (აღსანიშნავია, რომ განაცხადები მიიღება და რეგისტრირდება მათი შემოტანის თარიღისა და საათის მიხედვით, კონკურსის ჩატარებამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში).

IV შეკითხვა: *როგორ არის შესაძლებელი კონკურსისა და აუქციონის ჩატარების გარეშე ქონების დროებით სარგებლობაში გაცემასთან დაკავშირებული თანხმობის მიღება საქართველოს მთავრობისგან. ვის და რა შინაარსის მქონე წერილით მივმართოთ?*

პასუხი: როგორც თავად შეკითხვიდანაც ჩანს, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, კონკურსისა და აუქციონის გარეშე ქონება შეიძლება გაიცეს მხოლოდ მთავრობის თანხმობით. შესაბამისად, უნდა მივმართოთ საქართველოს მთავრობას. რამდენადაც ჩვენთვის არის ცნობილი, ასეთი მიმართვა ხდება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს შუამავლობით, ანუ თუ წარმოვიდგენთ ზემოაღნიშნულ პროცესს, მანამ სანამ მივიღებთ თანხმობას საქართველოს მთავრობისაგან, მაინც გვესაჭიროება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს წერილობითი თანხმობების მიღება კანონმდებლობით დადგენილი წესით. სწორედ ამის შემდეგ უნდა დაისვას საკითხი დროებით სარგებლობაში გასაცემი ქონების კონკურსის ან აუქციონის გამართვის გარეშე გაცემის შესაძლებლობის თაობაზე. აღნიშნულს ესაჭიროება დასაბუთება, რაც დამოკიდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე და ამ მხრივ პასუხის გაცემა გაგვიჭირდება, ვინაიდან შეკითხვაში არ ჩანს მიზეზი, თუ რა საფუძვლებზე დაყრდნობით შეიძლება გაიცეს ქონება კონკურენციის შემქმნელი პროცედურის ჩატარების გარეშე. ერთი რამის თქმა შეიძლება თამამად – იმისათვის, რათა ქონების გაცემა მოხდეს კონკურსის ან აუქციონის გარეშე, აუცილებელია მყარად, წერილობით იქნეს დასაბუთებული კონკრეტული ფართის გაცემის მიზნებისათვის კონკურსის ან აუქციონის ჩატარების საჭიროების არარსებობა. მაგალითად: შესაძლებელია კონკრეტული უძრავი ქონების გაცემა ხდებოდეს იმ მიზნებისათვის, რომელთა განხორციელება შეუძლია მხოლოდ ერთ სუბიექტს (ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, საერთაშორისო ორგანიზაციას). ამ შემთხვევაში, კონკურენტული გარემო ვერ შეიქმნება, ვინაიდან მხოლოდ იმ ზემოაღნიშნულ სუბიექტს ექნება უფლება, მიიღოს მონაწილეობა კონკურსსა თუ აუქციონში. შესაბამისად, აზრს კარგავს კონკურსის ან აუქციონის ჩატარების აუცილებლობა.

V შეკითხვა: *უძრავი ქონება გაცემულია იჯარით. წარმოდგენილია ნებართვები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროდან. ნებართვებში და არც ნებართვების მისაღებად გაგზავნილ წერილებში არ არის მითითებული საიჯარო ვადები. დაწესებულება დაინტერესებულია მეიჯარესთან დადებული ხელშეკრულების გაუქმებით და ქონების დროებით გაცემის პროცესის ხელახლა დაწყებით. საჭიროა თუ არა ასეთ შემთხვევებში თანხმობების ხელახლა მიღება?*

პასუხი: მესაკუთრე სახელმწიფო ორგანოსა და მაკონტროლებელი სახელმწიფო ორგანოს თანხმობების შინაარსში გადმოცემული ფარგლების (მათ შორის უფლებრივი) დაცვა სავალდებულოა. იმ შემთხვევაში, თუ ამ წერილობით თანხმობებში მითითებული არ არის ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ზემოაღნიშნული ორგანოები თანახმა არიან ქონების მესამე პირის სარგებლობაში არსებობაზე, მაშინ იგულისხმება, რომ თანხმობების ვადა ისეთივეა, რა ვადითაც დაწესებულება სარგებლობს მისთვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი სარგებლობის ფორმით გადაცემული ქონებით. შესაბამისად ახალი თანხმობები ამ შემთხვევაში საჭირო აღარ არის (კონკურსი ან აუქციონი ტარდება თავიდან).

ამავე დროს, გასათვალისწინებელია ერთი გარემოება – შესაძლოა, წერილობით თანხმობებში მითითებული არ იყოს კონკრეტული რიცხვი ვადის სახით და ვადას განსაზღვრავდეს თანხმობის წერილის შინაარსში გამოყენებული არა რიცხვი, არამედ რაიმე ტერმინი, მაგალითად, „ერთჯერადად“. ისეთ შემთხვევებში, როდესაც წერილობით თანხმობებში ვხვდებით ჩანაწერს ქონების დროებით სარგებლობაში „ერთჯერადად“ გაცემაზე თანხმობის შესახებ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ერთხელ გაცემის შემდგომ, მეორედ ქონების დროებით სარგებლობაში გაცემამდე საჭიროა ახალი თანხმობის მიღება.

დარწმუნებულები ვართ თქვენს დაინტერესებაში და ველოდებით ახალ შეკითხვებს.

საკონსულტაციო/ანალიტიკური ჯგუფი „მ.ე.ს. ექსპერტი“

MES-EXPERT

თქვენი შეხედულებით პრობლემატური კითხვების დასმა და კონკრეტული სატრენინგო თემების მოთხოვნა შესაძლებელია ქვემოთ მითითებული ელფოსტის მეშვეობით, ასევე „მ.ე.ს.–ექსპერტის“ დირექციასა და გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციასთან სატელეფონო კონტაქტით.

ინფორმაცია ჩვენ შესახებ

საკონსულტაციო/ანალიტიკური ჯგუფის – „მ.ე.ს.–ექსპერტი“ ძირითად მიზანს წარმოადგენს საჯარო სკოლების საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში ფუნქციონირების ხელშეწყობა.

აღნიშნულ პროექტში მონაწილეობის გარდა თქვენ ასევე შესაძლებლობა გაქვთ, პირადი მოლაპარაკების საფუძველზე, მიიღოთ შემდეგი სახის მომსახურება:

- **ფინანსური/იურიდიული საქმიანობის ანალიზი (სრული დოკუმენტური შემოწმება);**
- **იურიდიული მომსახურება – ერთჯერადი და მიმდინარე;**
- **ფინანსური მომსახურება (ურთიერთობა შესყიდვების სააგენტოსთან და სხვ.) – ერთჯერადი და მიმდინარე;**
- **აუდიტი (უძრავ/მოძრავი ქონების, საიჯარე ფართისა და პირობების შეფასება და სხვ.);**
- **საკონსულტაციო მომსახურება;**
- **ტრენინგების შეკვეთა და სხვ.**

ჩვენი ელფოსტის მისამართი: mes_expert@yahoo.com
საკონტაქტო ტელეფონები:
8(99) 92 25 95 – გიორგი ტრაპაიძე, 8(99) 30 52 55 – რევაზ გულარაშვილი

ქართველ მოჭადრაკეთა გამარჯვება ევროპის სასკოლო ჩემპიონატზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** საბერძნეთის ქალაქ სალონიკში გამართულ ევროპის სასკოლო ჩემპიონატში გამარჯვებულ მოსწავლეებს პორტატული კომპიუტერები გადასცა. ოთხი პრიზიორიდან სამი ქუთაისის 21-ე საჯარო სკოლის მოსწავლეა. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლაში, 2000 წლიდან, ექსპერიმენტის სახით დაინერგა ჭადრაკის, როგორც სავალდებულო საგნის შესწავლა. შედეგი შთამბეჭდავია – ყველა მედალოსანი მოჭადრაკე ამ სკოლის აღზრდილია, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს ფიზიკულტურის გაკვეთილების სპორტით ჩანაცვლების პროექტის მომავალ წარმატებას.

ევროპის ჩემპიონატი ოთხ ასაკობრივ კატეგორიაში 2010 წლის აპრილში ჩატარდა და მასში 15 ქვეყნის 1000-მდე ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა.

17 წლამდე ასაკის ჭაბუკთა შორის გამარჯვება საქართველოს მრავალგზის ჩემპიონმა, მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელმა, ქუთაისის 21-ე სკოლის მოსწავლე **ზურაბ ჯავახაძემ** მოიპოვა. იგი მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატშიც მიიღებს.

14-15 წლამდე მოსწავლეთა შორის ორი ოქროს მედალი მოიპოვა ქუთაისის 21-ე სკოლის მოსწავლე **ანა შამათავამ**. ამავე სკოლის მოსწავლე **გიგა დარსაველიძემ** ბრინჯაოს მედალი აიღო. გოგონათა შორის მესამე საპრიზო ადგილზე გავიდა მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი, სამტრედიის მესამე საჯარო სკოლის მოსწავლე **მერი არაბიძე**.

საერთაშორისო ტურნირში ქართველ მოზარდთა მონაწილეობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 17 000 ლარით სრულად დააფინანსა.

ეროვნული ნაკრები, რომელმაც საბერძნეთში იასპარეზა დაკომპლექტებული იყო მოსწავლეებით, რომლებმაც 2009 წელს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, საქართველოს პირველ ეროვნულ სასკოლო პირველობაში გაიმარჯვეს. ჩემპიონატში ქვეყნის ყველა რეგიონის 300 სკოლის 1000-მდე მოსწავლე მონაწილეობდა. კონკურსმა ძალიან დიდი ინტერესი გამოიწვია და მთელ ქვეყანაში საჭადრაკო ცხოვრება გამოაცოცხლა.

ნიჭიერ ქართველ მოსწავლეებს სამინისტრო მომავალშიც წაახალისებს და წარმატებებში ხელს შეუწყობს.

წარუშლელი კვალით გაცოცხლებული ექსპონატები

ლია სიხარულიძე. დიდ სახარებაზე მუშაობის პროცესი

პირველი გვერდიდან

სიძველეთა გამოფენაზე ყველაზე მეტი რაოდენობით ლია სიხარულიძის ნამუშევრებია ექსპონირებული. პროფესიით ფილოლოგმა, 35 წელი იმუშავა ხელნაწერთა ინსტიტუტსა და ეროვნულ არქივში, 900-მდე ხელნაწერი აღადგინა, ამავე დროს შექმნილი აქვს მინიატურებიც, მონაწილეობა მიიღო დიდი სახარების მოხატვაში, რომელიც შემდეგ თავად აკინძა. სიძველეთა გაცოცხლების უბადლო ოსტატი, როგორც გითხარით, დიდი მემკვიდრეობის პატრონია, იგი ხელნაწერთა ინსტიტუტში 1970 წელს მივიდა სამუშაოდ, სადაც ქაღალდის რესტავრაციაზე ან ტყავის რესტავრაცია-აკინძვაზე მუშაობა შესთავაზეს. ორივე ლაბორატორიაში მოსინჯა შესაძლებლობები, თუმცა მისი სიმპათია საბოლოოდ ტყავგადაკრული ყდების აღდგენისაკენ გადაიხარა. *„დავიწყე ლაბორატორიაში მუშაობა, სადაც ძველი ხელნაწერები იკინძებოდა. ტყავის აღდგენის ანა-ბანას ჩემმა თანამეოთახემ,* ***ნაზი ნიაზაშვილმა*** *მაზიარა. შემდეგ ცოდნა გავიღრმავე, თითქმის ყოველ ზაფხულს დავდიოდი ტალინში, ტარტუში, ლენინგრადში, მოსკოვში, კიევში, ერევანში. რუსეთისა და, ძირითადად, ესტონეთის, ძალიან კვალიფიციურ რესტავრატორებთან მქონდა მუდმივი ურთიერთობა, ეს ურთიერთობა თანამშრომლობას სცილდებოდა. იქ ჩასულს თავიანთ ხელნაწერებსაც კი მახვედრებდნენ სარესტავრაციოდ, უფრო სწორად, ჩემთვის იქ გადადებული იყო ხოლმე სამუშაო, ამბობდნენ: ამას, ლია რომ ჩამოვა, ის გააკეთებსო. მართლაც ჩავდიოდი მეორე სახლში, სადაც მხვდებოდა კეთილგანწყობა და საინტერესო სამუშაო“,* – ასე იგონებს ქალბატონი ლია მისი საქმის დასაწყისს, რომელმაც არაერთი ქართული სიძველე შემოვგვინახა პირვანდელი სახით, – *გაკეთებული მაქვს 900-მდე ხელნაწერის რესტავრაცია, ძირითადად, ყდა. მათ შორის ბევრი უნიკალური ხელნაწერია. მესტიის ოთხთავის რესტავრაცია – XI საუკუნე, იენაშის სახარება – XIII საუკუნე, ორივე ეტრატზეა შესრულებული. მესტიის ოთხთავი იმდენად მომეწონა, რომ შემდეგ ყდის ასლის გაკეთება გადავწყვიტე, ყდაზე პატარა ღილაკებისგან ჯვარია გამოსახული. ეს ასლი ახლა ამ გამოფენაზეა ექსპონირებული, ერთი ასლი ინსტიტუტს გავუკეთე, ერთი – ჩემთვის.*

აქ გამოფენილია ჩემ მიერ გაკეთებული ასლები ეროვნული არქივიდან და ლიტერატურის მუზეუმიდან. ათონის სახარება – მეთორმეტე საუკუნე, პაწაწინა ხელნაწერი ეტრატზეა შესრულებული, მას რესტავრციაც გავუკეთე და ასლიც დავამზადე. ასლებს დაძველების მეთოდით ვაკეთებ. ქაღალდის დაძველების სხვადასხვა მეთოდი არსებობს, კეთდება სპეციალური ხსნარი, რომლითაც შემდეგ ფურცლებს ვაძველებ. ვიყენებ, მაგალითად, კაკლის უღელის ნაყენს, ასევე, ძალიან მკრთალი კალიუმის პერმანგანატის ნაყენსაც, თუმცა ამ მეთოდს უფრო ვერიდები ხოლმე, ასევე, კარგია ჩაის ნაყენი. ასლების ნაწილი ეტრატია, ქარხნული წესით დამზადებული, ნაწილი – ტყავი. მათგან განსაკუთრებით თამარ მეფის სიგელი მიყვარს, გაფორმებული მაქვს თამარ მეფის იამბიკოებიც, მართალია, ქაღალდზე, მაგრამ ძველი ხელნაწერების მიხედვით ჩემ მიერ გაკეთებული ასლების დიდი რაოდენობა მუზეუმში ინახება, ძალიან ბევრი ასლია ლიტერატურის მუზეუმში – ილიას, აკაკის, ექვთიმე თაყაიშვილის, ტერენტი გრანელის ხელნაწერები. გაკეთებული მაქვს „ვეფხისტყაოსნის“ ასლი. ასევე, ვმუშაობ რელიგიურ თემებზე – გაფორმებული მაქვს „ათი მცნება“, „მამაო ჩვენო“. ასეთ სამუშაოზე ხშირად ვიყენებ ოქრომელანს, რომელიც თხელი ფირფიტებისაგან მზადდება. გამოფენაზე ექსპონირებულია სამი მინიატურის ასლი – მარკოზი, იოანე, ლუკა, რომლებიც ხელოვნების მუზეუმშია დაცული. ისინი აკაკი შანიძემ 1924 წელს ჩამოიტანა სვანეთიდან, თვითონ ხელნაწერი და მათეს მინიატურა დაკარგულია, ამიტომაც მომიწია მათეს მინიატურის იმავე სტილში დახატვა, ტყავზე შესრულებული მინიატურები აქ გამოვფინე.“

ძველი ხელანაწერების მიხედვით გაფორმებული ქართული ანბანი, რესტავრატორ-მხატვარმა, ძირითადად, იენაშის სახარების მიხედვით გააკეთა, თითოეული ასო შესრულებულია ნუსხურითაც და მხედრულითაც, თუმცა, ეს ერთადერთი არ არის, მას ქართული ანბანის რამდენიმე ნახატი აქვს შესრულებული სხვადასხვა სტილში. მეფის სიგელი – სოფელ ჭორდილას შემოსავლის ნაწილი, შეწირულობის სიგელი თამარ მეფისა გელათის მონასტერში მცხოვრებ სარჩოს გარეშე მყოფ 12 ბერისადმი, 1187 წელი, საქართველოს ეროვნული არქივი; წერილი ერეკლე მეორისა თეკლე ბატონიშვილისადმი, ავტოგრაფი. ერეკლე მეფის საბუთი; მესტიის ოთხთავი, სვანეთი, მესტიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი; თამარისეული სახარება; ქორწინების მოწმობა და სხვ. ეს სააღდგომო გამოფენისათვის ლია სიხარულიძის თემატურად შერჩეული 87 ნამუშევრის არასრული ჩამონათვალია. ექსპონირებული ნამუშევრებიდან ზოგი ავტორისათვისაა განსაკუთრებული, ზოგიც ქართული კულტურისთვისაა ერთადერთი – მარიამ დედოფლის მინიატურა, ბაგრატ მეოთხის ქალიშვილი, დავით აღმაშენებლის მამიდა. ეს მინიატურა შესულია ერთ-ერთ ხელნაწერში, რომელიც საფრანგეთში ინახება. ქალბატონმა ლიამ ასლი ფირიდან დაამზადა, ამ მინიატურის ასლი საქართველოში ერთადერთია. ბოლო ნამუშევარია „მამაო ჩვენო“, ძალიან რთული ორნამენტითაა შესრულებული – ჯვარში ოქროთია ჩაწერილი ლოცვა.

XII საუკუნე. „ანჩის სახარება“. ოთხთავი. ეტრატი. მოჭედილი ბექა ოპიზარის მიერ თამარ მეფის ბრძანებით. ასლი. ლია სიხარულიძე



მირქმა. „გულანი“. ასლი. ლია სიხარულიძე



მინიატურა, „პატრიარქის ინტრონიზაციის სცენა“. 2000 წ. ლია სიხარულიძე

მისი მინიატურებიდან გამორჩეულია, ასევე, პატრიარქის ინტრონიზაციისადმი მიძღვნილი მინიატურა (10 მ/ 75სმ.), გამოფენაზე წარმოდგენილია მისი მცირე ზომის ასლი, ორიგინალი საპატრიარქოში ინახება. მინიატურაზე გამოსახულია პატრიარქის ინტრონიზაციის სცენა – მუხლმოყრილი კათოლიკოს პატრიარქი და მის უკან მრევლი. მინიატურის მეორე მხარეს, პატრიარქისადმი სიყვარულის დასტურად, უამრავი ქართველის ხელმოწერა ამშვენებს. ეს მინიატურა ილია მეორეს გლდანის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღვარმა, მამა მიქაელმა, მიუძღვნა.

საპატრიარქომ ლია სიხარულიძეს ყველაზე დიდი საქმეც მიანდო, ყველაზე დიდი სახარება ააკინძვინა სამებისთვის. ნელიწადნახევრის მუშაობას ასე იხსენებს: *„სახარება ტყავში ჩავსვი და რამდენიმე სატიტულო ფურცელიც მოვხატე. ძალიან დიდი შრომა ჩავდე, არა მარტო მე – ძალიან ბევრი ადამიანი იყო დაკავებული მისი მოხატვით, რომელსაც რუსუდან ფეტვიაშვილი ხელმძღვანელობდა. წიგნი 120 კილოგრამს იწონის, თითო ფურცელი – 700 გრამს. მისი აკინძვისას ჩემი შვილიც მეხმარებოდა, რადგან მძიმე იყო და მარტო ვერც კი ვწევდი. სახარების კაპტალიც მე დავგრიხე. მართლაც არაჩვეულებრივი ნამუშევარი გამოვიდა, მასში ამდენი ხელოვანის ნიჭი და ღვთიური წიგნის მადლია გაერთიანებული. შემდეგ სახარება გამოიცა კიდეც, მხოლოდ პატარა ზომის, ორიგინალი კი სამების საკათედრო ტაძარშია დაბრძანებული.“*

რესტავრატორ-მხატვარი მიიჩნევს, რომ მისი საქმე ძალიან ძვირადღირებული არ არის, ყოველ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანაში, თორემ, უცხოეთში ეს საქმე მართლაც ძალიან ძვირად ფასობს. მისივე თქმით, ძვირადღირებულზე მეტად ეს საშური საქმეა, რადგანაც ძალიან ბევრი ხელნაწერი მართლაც გადასარჩენია, თუმცა, არ არსებობს ხელნაწერი, რომელიც რესტავრაციას არ დაექვემდებაროს, ყველანაირი წუნის შველა შეიძლება. ყველაზე ძველი ექსპონატი, რომელიც ქალბატონმა ლიამ გადაარჩინა „სვინაქსარია“, ჩამონათვალი ასე გრძელდება: „გრიგოლ ღვთისმეტყველის კრებული“, „დაუჯდომელი“, ზაზა ფანასკერტელის „სამკურნალო წიგნი“, „მესტიის ოთხთავი“, „იენაშის სახარება“ და სხვ. ეს საქართველოში, მაგრამ უცხოეთშიც ხომ ინახება მის მიერ რესტავრირებული ხელნაწერები.

ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, აღმაშენებლის 68 ნომერში მიმდინარე გამოფენა რიგით მეხუთეა, მანამდე იყო ლენინგრადი, ტარტუ, ლიტერატურის მუზეუმი, ხელნაწერთა ინსტიტუტი. გაზარდა კვალიფიციური კადრები, ერთ-ერთია **ნატო ჭილაია**, რომელიც მასთან ერთად ხელნაწერთა ინსტიტუტში მუშაობდა.

„15 წელი ერთად ვმუშაობდით, ყოველდღიური ურთიერთობა გვქონდა და გამუდმებით ვასწავლიდი, ჩემი გამოცდილება ნატო ჭილაიაში გადავიტანე, – გვიამბობს ქალბატონი ლია, – *ძალიან ბევრი რამ ვისწავლე უცხოეთის ცნობილი რესტავრატორებისგან, განსაკუთრებულად დიდია ესტონეთის სკოლის გავლენა, ტყავის მხრივ, მათ არაჩვეულებრივი სპეციალისტები ჰყავთ. თუმცა, ჩემი მრავალწლიანი გამოცდილება მხოლოდ აქ, საქართველოში კი არა, უცხოეთშიც გავუზიარე დაინტერესებულ ადამიანებს. მაგალითად, აზერბაიჯანში, სადაც 4 ხელნაწერი აღვადგინე და აღვზარდე კადრები, შემდეგ მათგან ოფიციალურად მივიღე მადლობა. 2006 წლიდან ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში აღარ ვარ, თუმცა მუშაობას, ბუნებრივია, ვაგრძელებ – ხან სახლში, ხან ლიტერატურის მუზეუმში, ეროვნულ არქივში, შეიძლება სვანეთშიც წავიდე, ვნახოთ. იქ ვარ, სადაც ჩემი საქმეა გადაუდებელი.“* ამ გადაუდებელ საქმესთან ერთად მისი ფერწერული ტილოები იქმნება და იფინება. ფერწერული ტილოების პირველი შემფასებელიც ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორი **ელეონორა მეტრეველი** იყო, თუმცა მაშინ ფერწერისათვის დრო ნაკლები ჰქონდა.

ასეთი საინტერესო და მრავალფეროვანი შემოქმედებითი ბიოგრაფიის ნაწილი გამოფინა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა 4 არანაკლებ საინტერესო მხატვრის ნამუშევრებთან ერთად – ლიზი და მარინა ჩქარეულები: „ქორწილი ქანაანში“, „მიტევება იესოს მიერ“, „იესო ფეხებს ბანს მოწაფეებს“, „ჯვარცმა“, „ხარება“ და სხვ. მათი ნამუშევრების უმეტესობა დიდი სახარებიდანაა წარმოდგენილი, ნაწილი სხვა სახარებიდან, არის საკუთარი კომპოზიციებიც. დიდი სახარების მოხატვაში მონაწილეობა გამოფენის კიდევ ერთმა მონაწილემ მიიღო, პროფესიით ლოტბარმა, ნინო გურაშვილმა – „იერუსალიმში შესვლა“, „აღდგომა “ და სხვ. ნანული შუბითიძემ კი სამზითვო წიგნი – „ვეფხისტყაოსანი“ მხედრულით გადაწერა რუსთაველის 800 წლის იუბილესათვის.

სააღდგომო გამოფენისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ექსპონატები შეირჩა ქართული საგალობლების სახით: მეთერთმეტე საუკუნის სანოტო ნიშნები, ძმები კარბელაშვილებისა და რაჟდენ ხუნდაძის ხელით ჩაწერილი საგალობლები: ვასილ და პოლიევქტოს კარბელაშვილები, იოანე ოქროპირის წირვა – „მნუხრი და ცისკარი“, 1888-97 წლები; „ქორწინების და პანაშვიდის საგალობლები“ ცისკრის დასასრული, 1888-97 წლები; რაჟდენ ხუნდაძე „სადიდმარხვო საგალობლები“, მეოცე საუკუნის 20-იანი წლები; 69 საგალობელი, რაჟდენ ხუნდაძე, „შეხვეტილიანი“, მეოცე საუკუნის ათიანი წლები.

რაჟდენ ხუნდაძის ხელნაწერიდან მკაფიოდ იკითხება წარწერა:

„ამ წიგნში აღნიშნულია დიდი მარხვის, დიდი პარასკევის საგალობლები, რომლებსაც შეხვეტილიანი ეწოდება. არის დაწერილი ნოტებზე ფილიმონ ქორიძისაგან. ყველა საგალობლებისა პირველი ხმაა დაწყება, მეორე ხმა მე, დეკ. რაჟდენ ხუნდაძემ შევუწყვე და მივუწერე იმ წესით, როგორც ჩვენ ვგალობდით საზოგადოდ ჩვეულებისამებრ. პირველი ხმა ქორიძეს თავიანთი ხმით დააწერინა მგალობელმა ანტონ დუმბაძემ და მისმა შვილმა დეკ. დავით დუმბაძემ.

დეკ. რაჟდენ ხუნდაძე.“

სიძველეთა პირველი გამოფენა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში მართლაც შთამბეჭდავია, ამას შთაბეჭდილებათა წიგნშიც ამოიკითხავთ.

ხოლო მათთვის ვინც გამოფენა ვერ ნახა, ვფიქრობთ, ამ წერილით, წარმოსახვითი შთაბეჭდილების შექმნა და სიძველის გაცოცხლება შევძელი, თუმცა არა ისე, როგორც ეს ქალბატონ ლიას გამოსდის წარუშლელი კვალით გაცოცხლებულ ექსპონატებზე.

ლალი ჯელაძე

მიეძღვნა სკოლის იუბილეს

22 აპრილს, თბილისის 22-ე საჯარო სკოლაში, სამოცი წლის იუბილე იზეიმეს. ეს დღე ერთი სასიხარულო ფაქტით აღინიშნა – თბილისის საკრებულომ 22-ე საჯარო სკოლას ღვაწლმოსილი მეცნიერის – დიმიტრი უზნაძის სახელი დაუბრუნა.

2008-2009 სასწავლო წელს, მეთერთმეტე კლასებში, არჩევითი საგნების ხარჯზე, საშუალო განათლებასთან ინტეგრირებით, სახელობო განათლება დაინერგა. მომზადდნენ მოსწავლეები კონდიტერის, დურგალ-მეავეჯისა და ზეინკლის სპეციალობებში. შემუშავდა ჩამოთვლილი სპეციალობებისათვის განახლებული სასწავლო პროგრამები, განახლდა და შეივსო სკოლის შრომითი სახელოსნოების მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები.

სახელობო სწავლების მნიშვნელოვან კომპონენტად დაისახა მოსწავლეთა მიერ შექმნილი საკონდიტრო და სადურგლო-საზეინკლო ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა. „მინი-ბაზრობებით" მიღწეულ იქნა გაკვეთილებზე შეძენილი ცოდნის რეალიზება, რამაც მოსწავლეებს საკუთარი ძალებისადმი რწმენა გაუმყარა.

აღსანიშნავია სახელობო სწავლების პედაგოგის **ვახტანგ პერტიას** დამსახურება. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ XII²-კლასელი ვაჟები: **ირაკლი** და **დავით სამსიანები, გიორგი სხირტლაძე, ბექა ცისკარიშვილი, ნიკა ქშუტაშვილი, კობა ჩომახიძე**, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს სკოლის დარბაზის სავარძლების დამზადებაში. სწორედ ამ დარბაზის პრეზენტაცია მოეწყო 22 აპრილს.

სკოლა, გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივას „ალუმნაის" პროგრამასთან დაკავშირებით და ამავე ღონისძიებაზე მოიწვია სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები. დაფუძნდა კურსდამთავრებულთა კლუბი, რომლის თავმჯდომარედ ექიმი **მაკა ჩაჩანიძე** აირჩიეს. კლუბში 1970-80-90-იან წლებში კურსდამთავრებული ახალგაზრდები გაერთიანდნენ. მათი სახელით სიტყვა წარმოთქვა რუსთაველის თეატრის მსახიობმა **მურმან ჯინორიამ**, რომელმაც გაიხსენა სკოლაში გატარებული წლები, სპორტულ დარბაზში სახელდახელოდ მოწყობილ „პრიმიტიულ" სცენაზე განხორციელებული პირველი როლი და წაიკითხა ქართველი პოეტების ლექსები.

სტუმრების წინაშე საკუთარი შემოქმედებით წარსდგნენ სკოლის უფროსკლასელები, **ოთარ შიშინაშვილი** და **გიორგი დარსანია**, კონცერტში მონაწილეობდა ქორეოგრაფიული ცეკვის ანსამბლი „განძი", (ხელმძღვანელი – **გიორგი ჭანიშვილი**), კლასიკური სახასიათო ცეკვების სტუდია „ბრავო" (ხელმძღვანელი – **ნანა ჩიხაშვილი**), ფოლკლორული ანსამბლი „გულანი"; ნორჩი მომღერლები: **ნინო მეფარიშვილი, მარიამ მუჩიაშვილი, ანა დარსანია, სალომე ადუაშვილი, კესო ქაფიანიძე** და **თიკო შარაშენიძე**.

სკოლის დირექტორმა **გულიკო ხორბალაძემ** ღონისძიებაზე აღნიშნა, რომ სკოლა მოქალაქის აღზრდაზეა ორიენტირებული: *„სოციალურად აქტიური მოქალაქის აღზრდისათვის, რეფორმის ფარგლებში, ბევრი პოზიტიური ნაბიჯი გადავდგით – დავნერგეთ სასკოლო პროექტები, „გუნდურ-ინტეგრირებული" თემების კონკურსებიდან მოგზაურობებამდე. უფროსკლასელთა გასააქტიურებლად ყოველწლიურად ვაცხადებთ კონკურსს ინტეგრირებული თემების წერაში, კონკრეტული რეგიონის ისტორიის, ლიტერატურის, კულტურისა და ტრადიციების შესასწავლად. გამარჯვებულ მოსწავლეებს და მასწავლებლებს ვაჯილდოვებთ ხუთდღიანი მოგზაურობით. გასულ წლებში ტაო-კლარჯეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთსა და დარიალის ხეობაში ვიმოგზაურეთ.*

დაწყებით სკოლაში დავამკვიდრეთ თამაში-ვიქტორინა „ეძიე ვარსკვლავი შენი".

მათე ჯოხაძე

შოტლანდიური პოეზიის საღამო

21 აპრილს, თბილისის 116-ე საჯარო სკოლაში (დირექტორი – **დიმიტრი მეჭურჭლიშვილი**), შოტლანდიური პოეზიის საღამო გაიმართა. ღონისძიების ორგანიზატორი ამავე სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი და მთარგმნელი **ნანა ქუთათელაძე** იყო. ღონისძიებისთვის VI¹ და V² კლასის მოსწავლეებმა XVIII საუკუნის შოტლანდიური პოეზია დაამუშავეს და ინგლისურიდან თარგმნეს ქართულ ენაზე. დამსწრე საზოგადოებას უამბეს შოტლანდიის ისტორიასა და ტრადიციებზე; ისაუბრეს შოტლანდიის სამხედრო პარადის (Military Tattoo) შესახებ, რომელიც აგვისტოსა და სექტემბერში ტარდება ედინბურგში და მსოფლიოს მრავალი ქვეყნის წარმომადგენლები ესწრებიან; გააცნეს ცნობილი მწერლებისა და მოღვაწეების – რობერტ ბერნსის, სერ ვალტერ სკოტის, რობერტ ლუი სტივენსონის, XIX-XX საუკუნის დიზაინერ ჩარლზ რენი მაკინტოშის, თანამედროვე მსახიობის – შონ კონერის ბიოგრაფიები და შემოქმედება. პროგრამა წარმოადგინეს ხალხური შოტლანდიური მუსიკისა და სლაიდების ფონზე, რაც შესაძლებელი გახდა **დავით ფერაძის** (ისტორიისა და ინფორმატიკის პედაგოგი) ინფორმაციული მხარდაჭერის მეშვეობით. ხელოვნების პედაგოგი **ნინო კერესელიძე** მოსწავლეებს კედლის გაზეთის მომზადებაში დაეხმარა.

ღონისძიების დასაწყისში ქალბატონი ნანა ქუთათელაძე მიესალმა სტუმრებს: ამერიკის საელჩოს მიერ მოწვეულ ინგლისური ენის მასწავლებელს, ქალბატონ **ჯუდით ელიოტს** და სკოლაში ფულბრაიტის პროგრამით მოვლენილ ინგლისური ენის ამერიკელ პედაგოგს **მეგან ო'ლოჰლინს**; შოტლანდიური სახლის წარმომადგენლებს, ხელმძღვანელს **ლევან ლებანიძეს, თამთა ლებანიძესა** და **ბესიკ გოგოხიას;** სამედიცინო ინსტიტუტის მავრიკიელ სტუდენტს, **რიტეშ გაჯადჰურს**, რომელიც „ეტალონის" გამარჯვებულია უცხოელ სტუდენტებს შორის. მას მრავალი წლის მეგობრობა აკავშირებს სკოლასთან.

ღონისძიებაზე VI¹ და VI² კლასების მოსწავლეებმა: **ვახტანგ ბერელიძემ, მარი ბურდიაშვილმა, თამარ ვაშაყმაძემ, დათო აბუაშვილმა, დიმიტრი სამხარაძემ, ირაკლი საყვარელიძემ, გიორგი ჩხეიძემ, ნიკა პატარიძემ, რუსუდან სამხარაძემ** წაიკითხეს რობერტ ბერნსის ცნობილი ლექსები „My Heart's is in the Highlands", („მშვიდობით მთებო"), „წითელი, წითელი ვარდი", რომელიც ინგლისურიდან VI¹ კლასის მოსწავლე **ირაკლი საყვარელიძემ** თარგმნა. **ელეონორა ქანთარია** დამსწრე საზოგადოებას შოტლანდიის ისტორიისა და ტრადიციების შესახებ ესაუბრა. რობერტ ბერნსის ბიოგრაფია **ნინი ჯვარშეიშვილმა** გააცნო სტუმრებს. **გიორგი ორჯონიკიძემ** წაიკითხა რობერტ ლუის სტივენსონის ბიოგრაფია, **ნიკა გელაშვილმა** სამხედრო პარადის შესახებ ისაუბრა, **თამარ სიქთურაშვილმა** – ვალტერ სკოტის შემოქმედების შესახებ, **სალომე ბერიძემ** – დიზაინერ ჩარლზ რენი მაკინტოშის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, **თათა ბაბუნაშვილმა** სტუმრებს შონ კონერის შემოქმედება და მოღვაწეობა გააცნო, **მარიამ ანდღულაძემ** რობერტ ბერნსის ცნობილი ლექსი „A Man's A Man for A'That" წაიკითხა. საქართველოში ყველამ კარგად იცის სიმღერა „კაცი ვარ და ქუდი მხურავს", მაგრამ ბევრმა არ იცის, რომ ეს რობერტ ბერნსის ლექსია, რომელიც ინგლისურიდან თამარ ერისთავმა თარგმნა.

წარმოდგენაში ასევე მონაწილეობდნენ ანსამბლ „მუსიკის ჰანგების" წევრები, 166-ე საჯარო სკოლის მოსწავლე **სალომე იმერლიშვილი** და 22-ე სკოლის მოსწავლე **მარიამ ლორია**, რომლებმაც ბრწყინვალედ შეასრულეს შოტლანდიელი პრინცის, ეროვნულგანმათავისუფლებელი მოძრაობის გმირისადმი მიძღვნილი სიმღერა „My Bonnie Lies Over The Ocean". წარმოდგენის დასრულების შემდგომ, სკოლის დირექტორმა, ბატონმა დიმიტრი მეჭურჭლიშვილმა მადლობა გადაუხადა ქალბატონ ნანას ასეთი მშვენიერი წარმოდგენის მოწყობისთვის. VI¹ კლასის მოსწავლეებმა – **ანა ხუბუამ** და **ლიკა მეფარიშვილმა** სტუმრებს თაიგულები მიართვეს.

ნანა ქუთათელაძე, ღონისძიების ორგანიზატორი: *„ მოსწავლეებმა შესანიშნავად გაართვეს თავი XVIII საუკუნის ურთულეს შოტლანდიურ პოეზიას და მოხიბლეს საზოგადოება თავიანთი გამოსვლებით. მსგავსი ღონისძიებები ხელს უწყობს კულტურათა დიალოგის წარმართვას და კულტურული ურთიერთობების განვითარებას. იზრდება მოსწავლეების თვითშეფასება, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მათი ყოველდღიური ქცევის მოწესრიგებისა და სწავლის ხარისხის ამაღლებისათვის. გარდა ამისა, ისინი სწავლობენ საზოგადოების წინაშე გამოსვლის ხელოვნებას, რაც არათუ პატარებს, დიდებსაც კი უჭირთ. მოსწავლეები, რომლებმაც წარმოდგენაში მონაწილეობაზე სწორედ ამ მიზეზის გამო თქვეს უარი, იმედია, მომავალში აღარ შეშინდებიან და თანატოლებთან ერთად გამოავლენენ ცოდნას და ეზიარებიან მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს. ღონისძიების ორგანიზებაში დიდი დახმარება გაგვიწია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ ჩატარებულმა ტრენინგმა – „მასწავლებელთა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ტრენინგის პროგრამა", რომელსაც ხელმძღვანელობს* ***ნინო მარღიშვილი****".*

ნინო საყვარელიძე

თანადგომისა და თანამშრომლობის სურვილით

ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზოდის საჯარო სკოლის პედაგოგები, მოსწავლეების ჯგუფი 14 აპრილს „დედა ენის დღისადმი“ მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებაზე სტუმრად ეწვივნენ მცხეთის რაიონის სოფელ წეროვნის №3 საჯარო სკოლას, სადაც, 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად, ცხინვალის რეგიონიდან იძულებით გადაადგილებული მოსწავლეები სწავლობენ.

სტუმრობის მიზანი კარგად გამოხატა მისასალმებელ სიტყვაში ზოდის საჯარო სკოლის VII კლასის მოსწავლემ **ნინო ბოჭორიშვილმა**:

„მოგესალმებით ძვირფასო თანატოლებო და პედაგოგებო, დღეს თქვენთან დამეგობრების დიდმა სურვილმა მოგვიყვანა. 14 აპრილი შემთხვევით არ შეგვირჩევია. „დედაენის“ დღე ნამდვილად ეროვნული დღესასწაულია. როგორც სულმნათი ილია ამბობდა: სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. ამ სამი სიწმინდის თანაარსებობა განაპირობებს ქვეყნის ერთიანობას და შემდგარ ერს. ისე როგორც ადრეულ საუკუნეებში, დღესაც საფრთხე ემუქრება ჩვენი ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. ჩვენ დღეს თქვენთან მოვედით, რათა ყველამ გაიგოს, რომ ქართველებს ურთიერთთანადგომის უნარი გვაქვს. მართალია, ისედაც ერთი მუჭა ერი შევმცირდით, ტერიტორიებიც დაიკარგა, მაგრამ უარესისთვისაც გაგვიძლია. გავუძლებთ დღესაც. ამას კი მეგობრობით, ერთმანეთის გატანით, ერთმანეთის თანადგომით შევძლებთ. იმედია გაბრწყინდება, გამთლიანდება ჩემი, თქვენი, ყველას საქართველო“.

საზეიმო ღონისძიება ახლადაშენებულ, კეთილმოწყობილ სააქტო დარბაზში გაიმართა. მასპინძელმა სკოლამ „დედაენის“ დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული კომპოზიცია წარმოადგინა, შემდეგ მათ ზოდის საჯარო სკოლის მოსწავლეები შეუერთდნენ.

სტუმრებმა წეროვნის №3 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკას საჩუქრად გადასცეს საბავშვო ენციკლოპედიების ნაკრები.

შეხვედრამ დიდი ემოციებით ჩაიარა. გადაწყდა, რომ ამ ორ სკოლას შორის პარტნიორული ურთიერთობა მომავალშიც გაგრძელდეს.

ნონა ყაველაშვილი
ზოდის საჯარო სკოლის დირექტორი

დაფუძნდა „პირველსკოლელთა“ კლუბი

პრეზიდენტის ინიცირებული პროექტის „წარმატებული კურსდამთავრებულების კლუბის“ – ALUMNI პირველი შედეგები უკვე ცნობილია. მათ შესახებ ინფორმაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **დიმიტრი შაშკინმა** თბილისის პირველ საჯარო სკოლაში პედაგოგებთან, მოსწავლეებთან და „ალუმნაის“ კლუბის წევრებთან შეხვედრისას გააკეთა. ამ პროექტს, ქვეყნის მასშტაბით, ბევრი კურსდამთავრებული გამოეხმაურა, მათ მიერ მშობლიური სკოლებისადმი გაწეული მხარდაჭერის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროექტი შედგა.

პირველი სკოლის კურსდამთავრებულები ერთ-ერთი პირველები გამოეხმაურნენ პრეზიდენტის ინიციატივას. მოწვეულ სტუმრებს დირექტორმა **ლელა წიქარიშვილმა** ის აქტივობები გააცნო, რომელიც კურსდამთავრებულთა შემოწირულობებით განხორციელდა – „უსაფრთხო სკოლის“ პროექტის ფარგლებში, თანხის ნაწილით პირველი სკოლის შენობაში 20-მდე ვიდეოთვალი დამონტაჟდა; იგეგმება ინტერაქტიური დაფის, ვიდეოკამერისა და სკოლისათვის აუცილებელი სხვა ტექნიკის შეძენა. ასევე, პროექტ „ალუმნაის“ ფარგლებში, შესაძლებელი გახდა ღვაწლმოსილ პედაგოგთა დამსახურების წარმოჩენა და სათანადო დაფასება, 20-მდე მოწვეულ პედაგოგს ფულადი ჯილდოები გადაეცათ.

პირველი სკოლის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას უემოციოდ არ ჩაუვლია, კურსდამთავრებულებმა, რომელთა შორისაც თბილისის ვიცე-მერი **მამუკა ახვლედიანი** და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე **კოკა სეფერთელაძე** იყვნენ, სკოლასთან დაკავშირებული განსაკუთრებული მომენტები გაიხსენეს და დიდი სიყვარული და პატივისცემა გამოხატეს მასწავლებელთა, განსაკუთრებით სკოლის ყოფილი დირექტორის, ქალბატონი **ლიანა შეწირულის** მიმართ.

ქალბატონ ლიანას ღვაწლსა და გამოცდილებაზე დიმიტრი შაშკინმაც ისაუბრა და ყოფილ დირექტორს სამინისტროში არსებულ მრჩეველთა საბჭოს წევრობა შესთავაზა.

ამავე დღეს გადაწყდა, რომ თბილისის პირველ საჯარო სკოლაში კურსდამთავრებულთა კლუბი „პირველსკოლელი“ დაფუძნდება, მომავალი კლუბის წევრების განცხადებით, ისინი აქტიურად ითანამშრომლებენ სკოლასთან და მზად არიან, საკუთარი წვლილი შეიტანონ მის განვითარებაში.

თვალსაზრისი

კომპიუტერი, წიგნი და მოზარდი

წიგნის გადაშლა, მისი წაკითხვის სურვილი, მხოლოდ შინაგანი წყურვილის დასაკმაყოფილებელი ქმედებაა? არა, *„წიგნები აზრთა ხომალდებია* – ამბობს ფრენსის ბეკონი – *ყამთა ტალღებში რომ მისცურავენ და ზრუნვით გადასცემენ ძვირფას ტვირთს თაობიდან თაობას“.*

ყოველ წიგნში თუ ნაწარმოებში მშობლიური ასო-ბგერების სიმფონია ჟღერს, მწყობრად და ლაკონურად რომ გადმოგვცემს წარსულის თუ აწმყოს ამბებს.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებამ, რომ სექტემბრიდან პირველკლასელები კომპიუტერებით უზრუნველყოფილი იქნებიან და წიგნი საჭირო აღარ იქნება, საზოგადოებაში, მათ შორის პედაგოგებში, არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

რეფორმა განათლების სისტემაში ნამდვილად საჭიროა. არაფერს აქვს ისეთი ათმაგი უკუგება, როგორც მოზარდებში ჩათესილ კეთილ თესლს. ახალგაზრდებისადმი დამოკიდებულება ყველაზე ფაქიზი, მგრძნობიარე თემაა, ამიტომ მუდმივი ექსპერიმენტების ობიექტი ისინი არ უნდა იყვნენ, როგორც ეს სამწუხაროდ ხდება.

საზოგადოებაში დამკვიდრდა აზრი, რომ გაუთავებელი რეფორმები განათლების სისტემაში ევროპიდან ფულის მოზიდვის მახეა, საბაბი, რომლითაც ხელისუფლებაა დაინტერესებული, თორემ რეფორმების ქარბუქი, რომელიც უკვე მერამდენედ უტევს ამ მგრძნობიარე სისტემას ასე ხელაღებულ ფორმას არ მიიღებდა.

ყველამ ვიცით სკოლის დირექტორების არჩევის, სკოლების გაერთიანებისა და შემცირების, ვითომ საბჭოთა მეთოდების აღმოფხვრის საბაბით, სოფლებში ავტობუსის დანიშვნის მცდარმა ექსპერიმენტმა არაფერი მოუტანა მოსწავლეებს. სოფლებიდან ისინი დიდ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს მიაწყდნენ. ხელოვნურად შეიქმნა ბარიერი, რომ ახალგაზრდა მშობლიურ სოფელში დარჩეს, ახლობელთა გარემოცვაში იზრდებოდეს.

მიმაჩნია, რომ პირველი კლასიდან კომპიუტერზე მიჩვევა და ინგლისურის სწავლება კარგია. თუმცა, არა მხოლოდ ინგლისურზე უნდა გაკეთდეს აქცენტი, არამედ სხვა უცხო ენების შესწავლაზე, რადგან საქართველოს მომავალი სხვა მოწინავე ერებთან ურთიერთობაშია. ბავშვებს უნდა შევასწავლოთ არაბული, აზიური, ლათინო-ამერიკული, ევროპული ენები. რადგან სიტყვამ მოიტანა, აქვე გამოვთქვამ ჩემს მოსაზრებას. ქართველ ადამიანს არ უნდა ეუცხოვებოდეს სვანური, მეგრული, აფხაზური, ოსური ენების მოსმენა, როგორც ცეკვები და სიმღერებია მათი საინტერესო, ასევე გარკვეული დოზით საჭიროა მათი ენობრივი განსხვავებულობისთვის პატივის მიგება, რადგან ჩვენი სიძლიერე, ჩვენი ულევი განძი სწორედ ენობრივ და კულტურულ-ეთნოგრაფიულ მრავალფეროვნებაშია.

პირველი კლასიდან კომპიუტერის შემოღებით მოზარდების წიგნიდან მოწყვეტა გარდაუვალია, მაშინ როგორ შეიყვაროს მოსწავლემ მშობლიური ასოები, თუ იგი დაფაზე ცარცით ან ქაღალდზე კალმით არ მოხაზავს, არ დაშვრება ოდითგან ნალოლიავები ასოების გამოყვანით. თუ კომპიუტერი მას მზამზარეულად მიაწვდის, როგორ შეისისხლხორცებს, როგორ მოესალბუნება მის გულს ქართული დამწერლობის ეს განუშორები ძღვენი.

ის, რაც ვერ წაშალა ქარტეხილებში გამობარბაცებულმა საუკუნეებმა, ჩვენმა თაობამ უნდა დასცეს და დააკნინოს? ჩვენი მეხსიერებიდან ვერ ამოშლი „დედა ენისადმი“ სიყვარულს. ხომ დაუვიწყარია პირველი მასწავლებელი და პირველ წიგნთან ურთიერთობის განცდა. ჩემს მოზრდილ ბიბლიოთეკას ამშვენებს ორი წიგნი – იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“, რომელიც მშობლებმა შემომინახეს, რისთვისაც უამრავჯერ მადლიერებით გამთბარა ჩემი გული და „ბუნების კარი“, რომელიც ოციოდე წლის წინ შევიძინე (დედანის ასლია, მაგრამ ძალიან ძვირფასია ჩემთვის).

როცა მოსწავლეს წიგნთან ურთიერთობის აუცილებლობას მოვაკლებთ, რით ვუნაზღაურებთ დანაკლისს? ფაქტია, კომპიუტერში ბევრი საინტერესო რამაა ჩატვირთული. უიმისობა ჩამორჩენილობას ნიშნავს, მაგრამ ამას წინათ ახლობელი გეოგრაფიულ მონაცემებს ეძებდა ინტერნეტში, საკმაოდ ეწვალა, მაგრამ ვერ იპოვა და გამოსავალი ისევ წიგნი გახდა.

რას ვუპირებთ შოთას, გალაკტიონის, ვაჟას, კონსტანტინეს უკვდავ აზრთა ნაყოფს? დავხუროთ ბიბლიოთეკები, მიატოვონ წერა პოეტებმა, მწერლებმა, არ გადავთარგმნოთ და არ გამოვცეთ, პოლიტიკური პლაკატების გარდა, უცხოელ სწავლულთა ნააზრევი? თუ მათ არ წაიკითხავს მომავალი თაობა, თუ პირველი კლასიდანვე მივაჯაჭვავთ კომპიუტერს, როგორი მომავალი გველის?

მხოლოდ სიახლის „გამოკიდება“ არ უნდა გვანიჭებდეს სიამოვნებას. სიამოვნება ემოციური გამოვლინებაა და ყოველთვის სასარგებლო არა.

უნდა ვიფიქროთ მოზარდების ჯანმრთელობაზეც, მობილურისა და კომპიუტერის მავნე გავლენაზე ხომ უკვე ალაპარაკდნენ. ამას წინათ, უნივერსიტეტის ერთი სტუდენტი მეუბნებოდა – ჩვენს კურსზე სტუდენტთა 80 პროცენტს მხედველობის პრობლემა აქვსო. ეს მაშინ, როცა სოფლებში ჯერაც არ შეუღწევია კომპიუტერს. უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალში ფსიქოლოგიური მოშლილობებიც გამრავლდება, ამის საშიში სიმპტომები უკვე არსებობს.

დასაფიქრებელია ისიც, რომ მოზარდების წიგნებიდან მოწყვეტამ ურთიერთაგრესია გაამძაფრა. სამწუხაროდ, ყოველდღე უბედურების მოწმეები ვხვდებით.

მე პადაგოგი ვარ და ჩემი ფიქრის საწიერია, ქვეყანას ჰყავდეს წიგნიერი, ჯანმრთელი და დახვეწილი მანერების მქონე თაობა.

ბორის დავითაია
სენაკის სკოლა „ალბიონის“ პედაგოგი
ღირსების ორდენოსანი, აკაკი წერეთლის
პრემიის ლაურეატი

საუბრები ბიბლიაზე

ის, რაც ადამიანმა ღმერთის შესახებ შეიტყო

მეორე ნაწილი

რუბრიკას უძღვება
როლანდ ჩხეიძე

რამდენად ჭეშმარიტია ჩვენი წარმოდგენა ღმერთის შესახებ

როგორც მღვდელი ოლეგ დავიდენკოვი თავის წიგნში „Догматическое богословие“ წერს, ამ საკითხისადმი ორი სხვადასხვა მიდგომა არსებობს: პირველი – დასავლური ღვთისმეტყველებისთვისაა დამახასიათებელი და სქოლასტიკური (ლათ. schola – სკოლა) შინაარსის მატარებელია, რაც, მოკლედ რომ განვმარტოთ, თეოლოგიისა და ფილოსოფიის აღრევას გულისხმობს. ასეთი მიდგომის მომხრეებს მიაჩნიათ, რომ ღმერთი სამყაროსთან მიმართებაში აბსოლუტურად ტრანსცენდენტური (სამყაროსადმი მიღმიერი და შემეცნებისათვის მიუღწეველი) არსებაა და ადამიანს, ღმერთის შესახებ არ შეუძლია რაიმე სარწმუნო ინფორმაციის მოპოვება. შესაბამისად, მთელი ჩვენი წარმოდგენები ღმერთზე, ღმერთის ყველა ის სახელი, რომელსაც ვიყენებთ, მხოლოდ ჩვენი ემოციების რაციონალური ანალიზით არის განპირობებული, და ამგვარი აზრები მხოლოდ ადამიანის რელიგიურად ცხოვრების პროცესში აღიძვრება. მათი აზრით, ჩვენს წარმოდგენებსა და ღმერთის ჭეშმარიტ ბუნებას შორის არავითარი შესაბამისობა არ არის, ანუ ტრანსცენდენტური ღმერთის სახელები მხოლოდ ჩვენი გონებრივი მიგნებების საბოლოო ფორმებია. ამ შეხედულებებთან მიახლოებული პოზიციები ჰქონდა აბელარს, თომა აქვინელს, დუნი სკოტს, ხოლო ბიზანტიაში ვარლაამ კალაბრიელს და მის მიმდევარ აკინდინს.

საკითხი, თუ რამდენად ზუსტია ჩვენი წარმოდგენები ღმერთის შესახებ, თეორიული მსჯელობის საგანი არ შეიძლება იყოს და ამ პრობლემას ვერც ერთი სახის თეორიული გამოკვლევა ვერანაირ ნიშნულამდე ვერ მიიყვანს. უწინარესად, ეს რწმენისა და ნდობის საგანია. ის, ვინც ღმერთს ეძებს, უკვე ღვთისმორწმუნეა, და თუ გვწამს ღმერთი, ჩვენი რწმენის გასინჯვისა და განმტკიცებისათვის ორი უტყუარი წყარო შეგვიძლია გამოვიყენოთ: ერთი მხრივ, ეს წმინდა წერილია და მეორე მხრივ, ეკლესიის სულიერი და წმინდანთა პრაქტიკული გამოცდილება. წმინდა წერილი გვასწავლის, ღვთის მახასიათებლები და სახელები ჩვენს გონებაში აღძრული უბრალო ფიქციები არ არის და მათ უკან გარკვეული ობიექტური რეალობა დგას. მოციქული პავლე უფლის შემეცნების შესახებ ბრძანებს: „მისი უხილავი სრულყოფილება, წარუვალი ძალა და ღვთაებრიობა, ქვეყნიერების დასაბამიდან მისსავ ქმნილებებში ცნაურდება და ხილული ხდება“ (რომ. 1:20). ეს სიტყვებიც კი საკმარისია მორწმუნესათვის, რომ ღმერთი მის მიერ განხორციელებულ ქმნილებაში ეძებოს და ამ ძიებით ღმერთის ბუნების შესახებ გარკვეული ობიექტური ცოდნა მოიპოვოს.

ამავე დროს, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ცოდნას ღმერთის სახელისა და ბუნების შესახებ, წმინდა წერილით, ხშირ შემთხვევაში, თვითონ უფალი გვაწვდის და უცნაური იქნებოდა გვეფიქრა, რომ ღმერთს რატომღაც შეგნებულად შევყავართ შეცდომაში. მაგალითად, იოანეს სახარებაში ღმერთის შესახებ ვკითხულობთ: „იყო ნათელი ჭეშმარიტი, რომელიც გაანათლებს ყველა კაცს, მომავალს ქვეყნად. ამ ქვეყნად იყო და ქვეყანა მის მიერ შეიქმნა, და ქვეყანამ ვერ იცნო იგი. თავისიანებთან მოვიდა და თავისიანებმა არ შეიწყნარეს. ხოლო ყველას, ვინც შეიწყნარა იგი, მისცა ხელმწიფება ღმრთის შვილებად წოდებულიყვნენ; ყველას, ვისაც სწამს მისი სახელი“ (იოან. 1:9-12). სწორედ ამიტომ მართლმადიდებელი თეოლოგები არსებული სულიერი გამოცდილების შესაბამისად მიიჩნევენ, რომ ღმერთის მახასიათებლები და სახელები მისი რეალური ბუნების შესახებ მეტყველებენ და ისინი განპირობებული არ არიან არც ჩვენი ემოციებით და არც ჩვენი ანალიზის უნარით. რა თქმა უნდა, ამ ეტაპზე, ჭეშმარიტების აღქმის ჩვენი შესაძლებლობები სრულყოფილი არ არის და ჩვენი წარმოდგენები სრულფასოვანი ვერ იქნება, როგორც პავლე მოციქული ბრძანებს: უფალს ჩვენ „ახლა ბუნდოვნად ვხედავთ... ახლა ნაწილობრივ ვიცი, ხოლო მაშინ შევიცნობ, როგორც თავად შევიმეცნები“ (1 კორ. 13:12). ჩვენი წარმოდგენები ღმერთის შესახებ შეგვიძლია საგანთა გაბნეულ ჩრდილებს შევადაროთ და რამდენადაც ჩრდილი არ შეესაბამება ფორმის ნამდვილ შინაარსს, იმდენადაა ჩვენი წარმოდგენა მოშორებული ღვთაებრივ სინამდვილეს. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი წარმოდგენები არასრულფასოვანია და საკმაოდ პირობითია, როგორც ბასილი დიდი ბრძანებს, ცოდვის მარწუხებისაგან გამოხსნისათვის ის მაინც სავსებით საკმარისია.

წმინდა წერილი ღმერთის შესახებ (გაგრძელება)

ღმერთი ყოვლადსამართლიანია. **იეჰოვა ციდკენუ – ღმერთი ჩვენი გამართლებაა** გვასწავლის წმინდა წერილი. ღმერთი ჩვენთვის სიმართლის მაგალითია. მხოლოდ მას ძალუძს ჩვენს ცხოვრებაში უმწიკვლოების დამკვიდრება: „უფალია ჩვენი სიმართლე“ (იერ. 23:6).

ღმერთის სამართალი მის წმინდა, მართალ და სამართლიან სიტყვაში ვლინდება. მისი სამართლიანობა ყოვლადწმინდა ნათელის მსგავსია. ნათქვამია: „ვის არ ეშინოდეს, უფალო, და არ ადიდებდეს შენს სახელს? ვინაიდან მხოლოდ შენა ხარ წმინდა“ (გამოც. 15:4), აქ უფლის ბუნებრივ სიწმინდეზეა ლაპარაკი და განწმენდილობა არ იგულისხმება. უფალი ანგელოზებისა და ადამიანების სიწმინდის წყაროა. ადამიანებს კი სიწმინდის მიღწევა, როგორც წმინდა კირილე იერუსალიმელი ბრძანებს: „არა ბუნებით, არამედ მხოლოდ ღვაწლით, ლოცვითა და ღმერთთან ზიარებით“, მხოლოდ ღმერთში და ღმერთის დახმარებით შეუძლიათ.

წმინდა წერილი გვაუწყებს, რომ ღვთის საუფლოში ანგელოზები მუდმივად ღაღადებენ: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ! სავსე არს ყოველი ქვეყანა დიდებითა მისითა!“ (ეს. 6:3).

წმინდა წერილი ღმერთის ისეთ სიწმინდეს განასახიერებს, რომელიც ყველაფერს ნათელით აღავსებს, რასაც ეფინება და რაც ღვთიური ნათლით ივსება უფლის სამართალში სუფევს. „კლდეა იგი, – ნათქვამია რჯულის წიგნში, – სრულყოფილია მისი ქმნილება, რადგან სამართლიანია მისი ყოველი გზა. ჭეშმარიტებაა ღმერთი, არა სიცრუე; მართალი და წრფელია იგი“ (რჯლ. 32:4).

„შენ მართალი ხარ ყველაფერში, რაც კი ჩვენზე მოავლინე, ვინაიდან შენ წრფელად იქცეოდი, ჩვენ კი ბოროტებას ჩავდიოდით“ (ნეემ. 9:33), ასე მიმართავს ღმერთს ნეემია წინასწარმეტყველი.

„ვერ ვწვდებით ყოვლადძლიერს, – ნათქვამია იობის წიგნში, – ის აღმატებულია ძალით და სიმართლით; მრავალმოწყალეა, არავის ჩაგრავს“ (იობ. 37:23).

ფსალმუნი კი განმარტავს: „რადგან მართალია უფალი, უყვარს სიმართლე. გულწრფელი იხილავს მის სახეს“ (ფსალმ. 10:7).

სიწმინდე და სამართლიანობა განუყოფელი მცნებებია და ამიტომ იოანეს გამოცხადებაში დაწერილია: „ვის არ ეშინოდეს, უფალო, და არ ადიდებდეს შენს სახელს? ვინაიდან მხოლოდ შენა ხარ წმინდა; ამიტომაც გეახლება ყველა ხალხი და თაყვანს გცემს შენ, რადგანაც გამოჩნდა შენი სამართალი“ (გამოცხ. 15:4).

უფალი, უკვდავებისაკენ ყველას მოუწოდებს და სრულიად გაუგებარია უკვდავება უმაღლესი სამართლის გარეშე. შესაბამისად, ეს მოწოდება ღვთის სიწმინდეში მოწოდებაა, რადგან ცათა სასუფეველში ვერც ერთი უწმინდური ვერ შევა. უფალი, თავისი ქმნილების სიყვარულის გამო, მზად არის თავისი სამართლით ყველა განწმინდოს. ყველამ უნდა გაიაროს სიწმინდის სამსჯავრო, სხვაგვარად ცათა სასუფეველი, ანუ სულის ჭეშმარიტი საუფლო მიუღწეველია, ხორცის, ანუ სხეულის მოკვდავობის შესახებ კი ყველასათვისაა ცნობილი. როგორ უნდა შევიდეს ხორციელი ცოდვებით დამძიმებული ადამიანის სული ჭეშმარიტ ნათელში, როგორ შეიძლება ცხოვრობდეს ბნელი არსება ნათელში; არა თუ სულიერად, ხორციელადაც უხერხულია ბინძურის სიწმინდის გვერდით მყოფობა.

ელ შადაი – ღმერთი ყოვლადძლიერი. ღმერთის სიძლიერის შესახებ წმინდა წერილში ვკითხულობთ: „ოთხმოცდაცხრა წლის იყო აბრაამი, როცა გამოეცხადა უფალი აბრაამს და უთხრა: მე ვარ ღმერთი ძლიერი. იარე ჩემს წინაშე და სრული იყავი“ (დაბ. 17:1). ასევე „ელაპარაკა ღმერთი მოსეს და უთხრა: მე ვარ უფალი. მე გამოვეცხადე აბრაამს, ისაკს და იაკობს, როგორც ყოვლადძლიერი ღმერთი (ელ შადაი)“ (გამ. 6:2).

– უფალი საკუთარი ძლიერების შესახებ:

„აჰა, მე ვარ უფალი, ყოველი ხორციელის ღმერთი! განა არის რაიმე შეუძლებელი ჩემთვის?“ (იერ. 32:27); „ამიერიდან იცოდეთ, რომ ეს მე ვარ, მე! და არ არის ღმერთი ჩემს გარდა!“ (რჯლ. 32:39); „იესომ შეხედა და უთხრა მათ: კაცთათვის ეს შეუძლებელია, მაგრამ არა ღმრთისთვის“ (მარკ. 10:27).

უფლის ყოვლადძლიერება ნიშნავს, რომ ღმერთისათვის არანაირი სიძნელე და წინააღმდეგობა არ არსებობს და რასაც მოისურვებს ყველაფერს უმალ აღასრულებს, როგორც ლუკა მახარებელი ბრძანებს: „რადგან ღმერთისთვის არაფერია შეუძლებელი“ (ლუკ. 37:1). მისი ყოვლისშმძლეობის ნათელი გამოხატულებაა თავად სამყარო, რომელიც მის მიერაა შექმნილი.

– ადამიანი ღმერთის შესახებ:

„ზეცად აღაპყარით თვალნი და შეხედეთ, ვინ შექმნა ესენი? მან, ვისაც სათვალავით გამოჰყავს მათი მხედრობა; ვინც სახელდებით უხმობს მათ ყველას, არავინ დააკლდება ძალამოსილს და ყოვლადძლიერს“ (ეს. 40:26); „განა არ იცი? ნუთუ არ გსმენია? მარადიული ღმერთია უფალი, ქვეყნის კიდეების შემქმნელი. არ იღლება და არ იქანცება, მიუწვდომელია მისი განგება“ (ეს. 40:28); „კლდეში შეასწარ, მიწაში ჩაემალე უფლის ზარტეხილს და მისი სიდიადის ელვარებას!“ (ეს. 2:10); „გრგვინავს ღმერთი თავის საკვირველ ხმაზე, ქმნის სიდიადეთა, რომელთა შეცნობა ჩვენ არ ძალგვიძს“ (იობ. 37:5); „ვერ ვწვდებით ყოვლადძლიერს, ის აღმატებულია ძალით და სიმართლით; მრავალმოწყალეა, არავის ჩაგრავს“ (იობ. 37:23); „ნუთუ ნამდვილად იმკვიდრებს მიწაზე ღმერთი? აჰა, ვერ იტევენ მას ცანი და ცანი ცათანი, როგორ დაიტევს ეს ჩემი აშენებული სახლი?“ (3 მეფ. 8:27); „დიდია უფალი და დიდძალოვანი, მისი გონიერება განუზომელია“ (ფსალმ. 146:5); „კურთხეულ არს უფალი ღმერთი, ღმერთი ისრაელისა, მარტოდ მოქმედი სასწაულისა“ (ფსალმ. 71:18).

როდესაც ვსაუბრობთ ღმერთის ყოვლისშემძლეობის შესახებ, ანუ იმ უნარის შესახებ, თუ როგორ მოჰყავს უფალს თავისი ნება სისრულეში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანისაგან განსხვავებით ღმერთში ნების გაჩენასა და მის განხორციელებას შორის არ არსებობს დისტანციური მანძილი. ადამიანში ჯერ აზრი ჩნდება, შემდეგ ეს აზრი ნებად გადაიქცევა და შემდეგ ეს ნება შესაბამისი ქმედებების შედეგად ხორციელდება. ღმერთში აზრის გაჩენასა და აღსრულებას შორის მანძილი არ არსებობს. როგორც წმინდა მამები გვასწავლიან უფალი აზრითა ქმნის, ანუ მასში აზრი და ნება ერთიანია. როგორც 32-ე ფსალმუნი გვასწავლის: „რადგან მან თქვა და – შეიქმნა, მან ბრძანა და – არსებობს“ (ფსალმ. 32:9).

– ადამიანი მიმართავს უფალს:

„ვეტყვი უფალს: ჩემი მფარველი და სიმაგრეა ჩემი ღმერთი, რომელსაც ვესავ“ (ფსალმ. 90:2); „უფალო, ჩვენო მბრძანებელო! როგორ დიდია შენი სახელი მთელ ქვეყანაზე, ცათა ზემოთ სწვდება შენი დიდება“ (ფსალმ. 8:2). „ეჰა, უფალო ღმერთო! შენი შექმნილია ცა და მიწა დიდი ძალითა და მოღერებული მკლავით. არაფერია შენთვის შეუძლებელი“ (იერ. 32:17); „არავინ არის შენი მსგავსი, უფალო! დიდი ხარ, დიდია სიძლიერით შენი სახელი“ (იერ. 10:6).

ღმერთის ყოვლადძლიერების გაბასვრა ყოველთვის სურდათ სხვადასხვა ჯურის სოფისტებს, ისინი არსებითად მცდარი დებულებებიდან ცდილობდნენ ფორმალურად „სწორი“ – მათთვის სასურველი დასკვნები გამოეტანათ. მაგალითად, ისინი სვამდნენ კითხვას: თუ ღმერთი ყოვლად ძლიერია და ყოვლისშემძლეა, შეუძლია თუ არა შესცოდოს? რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში პასუხი იქნება: „არა“, მათი დასკვნა კი: „ესე იგი ყოვლისშემძლე არ ყოფილა“. ან, თუ ღმერთი ყოვლისშემძლეა, შეუძლია თუ არა ისეთი დიდი საგანი შექმნას, რასაც თავად ვერ დაძრავს? და ა. შ.

ზოგს მიაჩნია, რომ თუ ღმერთი ითმენს ბოროტებას და ქვეყნად ბოროტების არსებობას, მას არ ძალუძს სძლიოს და გაანადგუროს იგი. საქმე ის არის, რომ უფალმა ყველა არსებას თავისი მოქმედების სივრცე დაუწესა და ამ სივრცეში მას საკუთარი ნების გამოხატვის საშუალება მისცა. უფრო მეტი თავისუფალი სივრცე, სულიერ არსებებს გააჩნიათ. ამ თავისუფალი მოქმედების პროცესში, მაგალითად, ღმერთი ადამიანს ეხმარება, რათა მან თავისი ნებით უარყოს ბოროტი და სიკეთის ქმნაში გაინაფოს.

რაც შეეხება კაზუისტიკურ საკითხებს, რომ ღმერთს რაიმე „არ შეუძლია“, უნდა ითქვას, რომ ღმერთის ყოვლისშემძლეობა ყველაფერზე ვრცელდება, რასაც მოისურვებს მისი გონი და კეთილი ნება, რაც არ შეიძლება მისი ღვთიური ბუნებისაგან განყენებულად განვიხილოთ. შესაბამისად, ყოვლისშემძლეობა არ შეიძლება უბრალო და უაზრო თვითნებურ ქმედებად გადაიქცეს. უფალი არ აკეთებს იმას, ადამიანურად რომ ვთქვათ, „რაც კაცს თავში მოუვა“, მისი ქმედება მის ღვთაებრივ ბუნებასთან არის დაკავშირებული და როგორც იოანეს სახარებაშია ნათქვამი: ნათელი ბნელში ნათობს და ბნელი იგი ნათლს ვერასოდეს მოიცავს (იოან. 1:5). და კიდევ უნდა გავიხსენოთ, რომ თავად უფალმა – იესო ქრისტემ, უდაბნოში ორმოცდღიანი მარხვის შემდეგ, სამგზის უარყო ეშმაკის შეთავაზება და არა იმიტომ, რომ მისთვის მათი აღსრულება იყო შეუძლებელი (შეუძლებელს ეშმაკი არც შესთავაზებდა), არამედ „რადგანაც დაწერილია: უფალს ღმერთს შენსას თაყვანი ეცი და მხოლოდ მას ემსახურე“ (მათ. 4:1-11). ყველა სხვა ნება თვითონ უფლის ნების გარდა უფლისათვის მიუღებელია, უფლის ნება კი ჭეშმარიტების ნებაა და ჭეშმარიტი ქმედებაა.

ღმერთის სიყვარულისა და სამართლიანობის ერთნაირობა და ერთიანობა

ეკლესიის ისტორიის მანძილზე მრავალი სხვადასხვა ისეთი სახის მოძღვრება გაჩნდა, რომლებიც ღმერთის ბუნების ამ ორ თავისებურებას ურთიერთსაპირისპიროდ მიიჩნევდნენ. მაგალითად, გნოსტიცისტები, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ უმაღლეს მეცნიერულ რელიგიურ ცოდნას ფლობდნენ და სულიერი ამპარტავნებით იყვნენ შეპყრობილნი, მოგვიანებით ბოგომოლები, რომლებიც ღმერთის სიყვარულისა და სამართლიანობის თავისებურ შეფასებასთან ერთად ეკლესიურ ცხოვრებაში წმინდა ნაწილების, ჯვრისა და ხატების არსებობას უარყოფდნენ და ა. შ.

ყველა ასეთი სექტანტური წარმონაქმნის წევრები მიიჩნევდნენ, რომ შეუძლებელია ღმერთს ერთნაირად უყვარდეს მისი ქმნილება და სრულიად სამართლიანი იყოს. აქედან მათთვის გამომდინარეობდა დასკვნა, რომ ძველ და ახალ აღთქმაში სხვადასხვა ღმერთია წარმოდგენილი. მაგალითად, ამ დებულების საფუძველზე, II საუკუნის გნოსტიკოსი მარკიონი ძველ აღთქმას არ მიიჩნევდა წმინდა წერილად.

ბიბლიაში ნათლად ჩანს, რომ „წმინდა არს ღმერთი“ და ეს სიწმინდე მისი ქმნილებებისაგანაც არ შეიძლება სიწმინდეს რომ არ მოელოდეს. შესაბამისად, არ შეიძლება ღმერთი სიკეთის ან ბოროტებისადმი გულგრილი იყოს. გასაგები მიზეზის გამო ღმერთი მის მიერ შექმნილ სამყაროში ხელს უწყობს სიკეთის განვითარებას და ზღუდავს ბოროტის შესაძლებლობებს. ამავე დროს, ღმერთი ყოვლადნეტარია და მთელი მისი ძალები მასში ურთიერთჰარმონიულადაა თანაშერწყმული, ანუ არ შეიძლება აბსოლუტურ სრულყოფილებაში წინააღმდეგობა იყოს, რაც, თავისთავად, იმაზე მეტყველებს, რომ მასში სიყვარული და სამართლიანობა ურთიერთდაპირისპირებული ვერ იქნება.

შეიძლება ითქვას, რომ ღვთაებრივი სიყვარული სამართლიანია და მისი სამართალი სიყვარულითაა აღვსილი. სიყვარული სამართლის გარეშე გულთბილობად, შემდეგ კეთილმოსურნეობად, სენტიმენტალურობად, დაბოლოს, ცოდვის შემწყნარებლობად გადაიქცევა. სიმართლეს კი სიყვარულის გარეშე ყოველთვის სისასტიკე ემუქრება.

იგავთა წიგნი გვასწავლის: „უფლის შეგონებას ნუ უგულებელყოფ, შვილო, და მის მხილებებს ნუ წაუყრუებ; რადგან ვინც უყვარს, იმას ამხილებს უფალი და სწყალობს, როგორც მამა საკუთარ შვილს“ (იგავ. 3:11-12). იოანეს გამოცხადებაში კი უფალი ლაოდიკიის ეკლესიას ასე მიმართავს: „ვინც მიყვარს, მას ვამხილებ და ვწვრთნი. მაშ, ეშურე და შეინანე“ (გამ. 3:19).

ტერტულიანე წერდა: ღვთაებრივი სამართალი ისეთი წყალობაა, რომელიც იცავს და ამკვიდრებს მადლს. მადლი თავის ძალას კარგავს თუ მას სიმართლე არ ახლავს. მოწყალე ღმერთი, უდავოდ ის ღმერთია, რომელიც სიკეთეს თესავს, მოელის და აკანონებს. უფალი უკანონობის მტერია; ის სჯის და დევნის უკანონობას და ეს ყველაფერი მის ღვთაებრივ მწყალობლობას არაფერში არ ეწინააღმდეგება, რადგან ეს ყოველივე მხოლოდ ჩვენ სასიკეთოდ ხდება. (ციტატა წიგნიდან: Иерей Олег Давыденков. Догматическое богословие, курс лекций, ч. I, II. М., ПСТБИ, 1997).

სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები

სწავლების ეფექტიანი ფორმების შერჩევა და მათი სასწავლო პროცესში დანერგვა დღეს უდიდეს აქტუალობას იძენს. თანამედროვე სწრაფად ცვალებადი გარემო მოსწავლეებისა და სტუდენტებისაგან არა მხოლოდ თეორიული ცოდნის ათვისებასა და გაღრმავებას ითხოვს, არამედ ამ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში სწრაფ და შეუფერხებელ რეალიზაციას საჭიროებს. ამიტომ აუცილებელი ხდება მათი უფრო დინამიური პროფესიული მომზადება, რაც შესაძლებელია სწავლების იმ მეთოდების კომპლექსთა გამოყენებით, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა პროფესიული, აღმზრდელობითი და კულტურული განვითარების დონის ზრდას.

ასეთ მეთოდებს მიეკუთვნება: პრობლემური სწავლება, სიმულაციური (საქმიანი) თამაშები, კომპიუტერული გამომთვლელი პროგრამები, Case-Study და ა.შ., რომლებსაც ფართოდ იყენებენ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებსა და სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებებში. ამ მეთოდებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია საქმიანი თამაშები. საქმიანი, ანუ სიმულაციური თამაშები ეწოდება იმ სახის მოდელებს, რომლებიც სამეურნეო-ორგანიზაციული და სხვა სისტემების ფუნქციონირების იმიტაციას ახდენენ.

ამ ეტაპზე საქართველოს რამდენიმე სკოლაში მასწავლებელთა ნაწილი საქმიან თამაშებს სასწავლო ფორმატში იყენებს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სწავლების აქტიური მეთოდებით მეცადინეობის გაძღოლის მსურველი მასწავლებლების რაოდენობა, შესაბამისად, მათ მიერ ამ მეთოდით ჩატარებული გაკვეთილების რაოდენობაც პროცენტულად ძალიან მცირეა. ამის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ მასწავლებელთა უმრავლესობამ არ იცის ამ მეთოდის არსებობის შესახებ, ხოლო ის, ვინც იცის, ვერ ახერხებს საქმიანი თამაშების დამუშავებას, რადგან თითოეული საქმიანი თამაშის დამუშავება მნიშვნელოვან დროსა და ენერგიას მოითხოვს. ამიტომ სასურველი იქნება, რომ ამ საქმით დაკავებულ ინიციატორ-მასწავლებელთა ძალების კონსოლიდაცია მოხდეს, ისინი პროფესიულად მიუდგებიან საქმიანი თამაშების შემუშავებას. ამ მხრივ, საჭიროა ასევე სკოლებსა და უნივერსიტეტებს შორის კავშირის გაღრმავება, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება გამოცდილების მიღება და შემუშავებული საქმიანი თამაშების გადმოღება, რითაც სწავლების ხარისხი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სკოლებში.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებს, აქ უფრო აქტიურად მიმდინარეობს აღნიშნული მეთოდით სწავლება. თუ მსოფლიო გამოცდილებას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ მათ მთელი სასწავლო პროცესის უდიდესი ნაწილი უკავიათ. მაგ., იაპონიის კეიოსა და სოფიოს უნივერსიტეტების მართვისა და მენეჯმენტის კურსში 60% საქმიანი თამაშებია, დანარჩენი – ლექცია-სემინარები, კურსში „პროდუქციის გასაღება“ – 50%, ფინანსურ მენეჯმენტში – 45%, კურსში „გადაწყვეტილების მიღება“ – 75%.

აშშ-ში, ჰარვარდის უნივერსიტეტში, საქმიანი თამაშები და Case-Study მენეჯმენტის კურსის შესწავლის დროის 90%-ს შეადგენს.

სლოუნის ბიზნესის სკოლაში Role-playning / როლებრივი თამაშები სასწავლო პროცესის დროის 10%-ს მოიცავს, მმართველობითი საქმიანი თამაშები – 35%, Case-Study – 19%, ლექციები – 36%.

იტალიაში, რომის უნივერსიტეტს La Sapienza ტექნიკური საშუალებების და საქმიანი თამაშების უმდიდრესი ბაზა აქვს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რომის უნივერსიტეტებში საქმიან თამაშებზე დასწრება ყველა სტუდენტისთვის სავალდებულოა და ამ დისციპლინაში გამოცდის გარეშე სტუდენტები შემდეგ კურსზე არ გადაჰყავთ.

შვედეთში სწავლების სიმულაციური მოდელების სფეროში ერთ-ერთი პოპულარული სკანდინავიური კომპანია CESIM ასწავლის ევროპის სხვადასხვა ცნობილი კომპანიების – Nokia, Sonera, Gillette და სხვ. – მაღალი და საშუალო რანგის მენეჯერებს საქმიანი თამაშების მეთოდით.

რუსეთის ფედერაციაში, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სხვადასხვა ფაკულტეტებზე დისციპლინების შესწავლის დროს იყენებენ საქმიან თამაშებს, რომლებიც სტუდენტებს საგნის რომელიმე ძირითადი ქვედანაყოფის შესწავლის შემდეგ უტარდებათ.

სანკ-პეტერბურგის საინჟინრო-ეკონომიკურ უნივერსიტეტში არსებობს უახლესი ტექნიკით აღჭურვილი სამი ლაბორატორია: საქმიანი თამაშების, დისტანციური სწავლების და ღია სწავლების. სამივე ლაბორატორიის მიზნებს ემსახურება საქმიანი თამაშების ლაბორატორია; დისტანციურ და ღია სწავლებაში, უმთავრესად, იმიტაციური სათამაშო მოდელები გამოიყენება.

საქმიანი თამაშები წარმატებით ტარდება ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმიტაციური მოდელირებისა და სწავლების აქტიური მეთოდების ლაბორატორიაში, პროფესორ **ჟანა თოლორდავას** ხელმძღვანელობით. ლაბორატორია თანამშრომლობს უცხოეთის უნივერსიტეტებთან: რომის La Sapienza და Roma Tre, ლაკვილასა და პალერმოს (იტალია), ნანტის (საფრანგეთი), დემოკრიტეს სახ. კომოტინის (საბერძნეთი), უტრეხტის (ჰოლანდია), მოსკოვის, სანკტ-პეტერბურგის, ნოვოსიბირსკის. ლაბორატორიაში შემუშავებული საქმიანი თამაშები შესულია საერთაშორისო კატალოგებში და რეკომენდებულია დასანერგად. ბევრ მათგანზე საქართველოს ტელევიზიის მიერ მომზადდა ტელეგადაცემები და ვიდეოფილმები სტუდენტების მონაწილეობით, რომლებიც დემონსტრირებულ იქნა საზღვარგარეთის ქვეყნების სხვადასხვა კონფერენციებსა და სასწავლო ცენტრებში. ქალბატონმა ჟანა თოლორდავამ, პირველმა საქართველოში, დანერგა სწავლების ახალი ტექნოლოგიები საქმიანი თამაშების (კომპიუტერულ ვერსიაში) და სწავლების ინტერაქტიური მეთოდების სახით, რაშიც მოპოვებული აქვს ორი ვერცხლის ჯილდო ევროპაში და მრავალი დიპლომი, სიგელი და სერტიფიკატი.

აღნიშნულ ლაბორატორიაში დამუშავებულია სხვადასხვა ტიპის საქმიანი *(სიმულაციური)* თამაშები: ე.წ. “ხელით” (სამაგიდო) და კომპიუტერული საქმიანი თამაშები, კომპიუტერულ-გამომთვლელი მოდელები, *კეისები* და *Role playing* და ა.შ., რომელთა უმრავლესობაც სტუდენტებისთვისაა განკუთვნილი, მაგრამ ზოგიერთი მათგანის გამოყენება მოსწავლეებთანაც შეიძლება. მაგალითად, საქმიანი თამაში Mediterranea – აღნიშნული თამაში პროტოტიპია ამერიკელი ფსიქოლოგების – რ. პაუერსის, რ. დუუსისა და რ. ნორტონის ცნობილი მოდელის Common. ისინი განიხილავენ გარკვეულ სამეურნეო სისტემას, სადაც ჩართულია რვა ერთი და იმავე *წყლის* რესურსის მომხმარებელი ინდივიდი. პროფესორ ჟანა თოლორდავას ვერსიაში ხმელთაშუა ზღვის აუზის რვა ქვეყნის სამეურნეო ინტერესების გარემოსდაცვით ინტერესებთან დაპირისპირების პროცესის მოდელირება ხდება. ვინაიდან თამაში *შეჯიბრის* სტილში მიმდინარეობს, რომლის დროსაც თამაშის მონაწილეებისგან შემდგარი რვა ჯგუფი (რვა მონაწილე ქვეყნის წარმომადგენლები) უპირისპირდება ერთმანეთს. თამაშში იტალიის, საფრანგეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, ალჟირის, ისრაელის, არაბეთისა და თურქეთის „წარმომადგენლებს“ ევალებათ სხვადასხვა სახის შეთანხმება-ხელშეკრულებების დადება. ეს მონაწილეებისგან, გარდა ეკოლოგიური პრობლემების შესწავლისა, მოითხოვს ქვეყნის სოფლის მეურნეობის, მრეწველობის და ტურიზმის განვითარების დონის ცოდნას, ვინაიდან ეს დარგებია ძირითადი დამაბინძურებლები. მონაწილეები სწავლობენ *ამ რვა* ქვეყნის გეოგრაფიას, ისტორიას, რათა განსაზღვრონ მათი უპირატესობები და დაიცვან იმ ქვეყნების ინტერესები, რომლის წარმომადგენლებიც არიან ამ თამაშში. ამ სახის თამაშების ჩატარება შესაძლებელია სკოლის მოსწავლეებისთვისაც, ვინაიდან იგი ხელს უწყობს ცოდნის მობილიზებას და, ამავე დროს, არც რთული მათემატიკური გამოთვლებითაა გადატვირთული. ჩვენი აზრით, ამ საქმიანი თამაშის გამოყენება სკოლის პირობებში საინტერესო იქნება როგორც ცალკე გეოგრაფიის და ისტორიის გაკვეთილებზე, ასევე ინტეგრალურად – ორივე საგნის შემაჯამებელ მეცადინეობაზე, რაც აღნიშნულ იმიტაციას უფრო დინამიურსა და პოლემიკურს გახდის.

ასევე საინტერესოა სკოლის მოსწავლეებისათვის საქმიანი თამაში „რეგიონის მდგრადი განვითარება“, სადაც ადამიანის სამეურნეო საქმიანობის შედეგების შეფასება ხდება. თამაშის წესებით, მოცემულ პირობებში საჭიროა პირობითი რეგიონის მდგრადი განვითარების განხორციელება, რაც მისი რესურსების რაციონალურ გამოყენებასთან და ბუნების დაცვის პრობლემებთანაა დაკავშირებული. თამაში მაკეტურია – მოცემულია რეგიონის რუკა, სახლების, ქარხნების, ფერმის და ა.შ. მაკეტები. მონაწილეები იწყებენ ეკოლოგიური საკითხების შესწავლას, ეკოლოგიური პირობების გათვალისწინებით ავითარებენ რეგიონს, აშენებენ ქარხნებს, სოფლის მეურნეობის ობიექტებს, იღებენ გადაწყვეტილებას, როგორ მოამარაგონ აღნიშნული ქარხნები წყლითა და ელექტროენერგიით ისე, რომ ბუნებას ზიანი არ მიაყენონ და მათ განკარგულებაში არსებული ფინანსური რესურსები გაითვალისწინონ. საბოლოოდ წარადგენენ თითოეულ პროექტს, მიმდინარეობს განხილვა ჯგუფების წინაშე და საუკეთესო პროექტის გამოვლენა-დაჯილდოება. ამ სახის საქმიანი თამაშების გამოყენება შესაძლებელია გეოგრაფიისა და ბიოლოგიის გაკვეთილებზე.

ისეთი სახის საქმიან თამაშებში კი, როგორიცაა: „კონსალტინგი საწარმოში“, „მეწარმეობა“, „არასრულყოფილი კონკურენტი“ და ა.შ. სტუდენტებს რეალური საწარმოების მაგალითზე უწევთ თავიანთი საქმიანობის განხორციელება. მუშაობას იწყებენ ფინანსური დოკუმენტაციის გაცნობით, ადგენენ ფინანსური მდგრადობის გამოსათვლელ კოეფიციენტებს, აგებენ გრაფიკებს მიღებული მონაცემების თვალსაჩინოებისათვის, ანგარიშობენ გამოშვების ოპტიმალურ მოცულობას, რენტაბელობის დონეს, აწესებენ ფასებს აქციებზე, იღებენ გადაწყვეტილებებს, როგორ გაანაწილონ დივიდენდები და საბოლოოდ განსაზღვრავენ, როგორ და რა სახით გააგრძელონ გამოკვლეულმა საწარმოებმა ფუნქციონირება.

კომპიუტერულ გამომთვლელ პროგრამებში კი აისახება საწარმოს, ფირმის, ორგანიზაციის მაჩვენებლები და რიცხობრივი მასივი, რომლის მეშვეობითაც აღნიშნული პროგრამები ე.წ. „ტრენაჟორის“ ფუნქციას ასრულებენ.

კომპიუტერულ სიმულაციურ სისტემებში შედის მაკონტროლებელი, მატესტირებელი, ინტერაქტიური პროგრამები. ამ სისტემის ერთ-ერთი ნაირსახეობაა ბიჰევიორული ექსპერტული სისტემა, რომლის დროსაც კომპიუტერში შეტანილი მმართველობითი ან ორგანიზაციული ხასიათის სიტუაციებიდან თითოეულზე შემოთავაზებულია დანომრილი 4-5 პასუხი. აქედან ერთი ან ორი სწორია, დანარჩენი მცდარი პასუხებია, რომელთაც ხშირად უშვებენ პრაქტიკაში. კომპიუტერთან დიალოგურ რეჟიმში სტუდენტი ირჩევს გადაწყვეტილებას და აჭერს კლავიატურის ღილაკს შესაბამისი ნომრით, რის შედეგადაც იღებს დადებით ან უარყოფით ანალიტიკურ პასუხს თავის გადაწყვეტილებაზე.

ლაბორატორიაში დამუშავებულია ამგვარი ექსპერტული სისტემები: *„მდს“* (მრეწველობის დარგობრივი სტრუქტურა), სადაც მოცემულია სამი სხვადასხვა ქვეყნის დარგების სტრუქტურა, რომელშიც აისახება მოცემული ქვეყნების რესურსული პოტენციალი, ანუ რა შესაძლებლობები აქვს თითოეულ ქვეყანას და რა დარგებია კარგად განვითარებული. თითოეული ქვეყანა, ამ შესაძლებლობების შეფასების შედეგად, იღებს გადაწყვეტილებას, რომელ ქვეყანასთან თანამშრომლობაა მისთვის უფრო მომგებიანი.

ასევე საინტერესოა კომპიუტერული მოდელი *„ბიზნესის სტრატეგია“*, სადაც სტუდენტები, ბიზნესგარემოში არსებული შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით, ირჩევენ მათთვის მისაღებ სტრატეგიას დასახულ მიზნებთან შესაბამისობაში. მათ თითოეულ გადაწყვეტილებაზე პასუხს იძლევა კომპიუტერული არბიტრი და სხვადასხვა მათემატიკური გამოთვლებისა და კორელაციის მეთოდის საშუალებით ასაბუთებს.

განსაკუთრებული ხალისით და მონდომებით მონაწილეობენ სტუდენტები ოთხპროფილიან ექსპერტულ სისტემაში *„მენეჯერის რეიტინგი“*, *„კარიერა“*, *„შეამოწმეთ თქვენი თავი“*, *„კონფლიქტი“*, *„ბიზნესის სტრატეგია“* და ა.შ. აქ თამაშში მონაწილეობის შედეგად, ფასდება პიროვნების პოტენციალი, განისაზღვრება მისი საქმიანი დონე და მიდრეკილებები.

გარდა თსუ-სა საქმიანი თამაშების მეთოდებით სწავლა მიმდინარეობს CAC-ში, თავისუფალ უნივერსიტეტში და ა.შ. საქმიანი თამაშების მეთოდი აქტიურად გამოიყენება ტრენინგების დროს ტრენინგ-ასოციაციების, სამინისტროების მიერ. მაგალითად, განათლების სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროში თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების დროს შესაბამის სიმულაციურ მოდელებს მიმართავენ.

ქართული რეალობიდან გამომდინარე, მაშინ როდესაც სტუდენტების უმრავლესობას საშუალება არ აქვს პროფესიული პრაქტიკა გაიაროს სხვადასხვა ორგანიზაციაში, მოსწავლეების სწავლის პროცესით დაინტერესება კი კლებულობს და სკოლა მათთვის ნაკლებად მიმზიდველი ხდება, საქმიანი თამაშებითა და სწავლების აქტიური მეთოდებით სწავლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, მათ, ფაქტობრივად, მოდელირების დონეზე შეუძლიათ პრაქტიკის ჩანაცვლება სტუდენტებისთვის, ხოლო მოსწავლეებისთვის – მოტივატორის როლის შესრულება. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ სწავლების სათამაშო (სიმულაციური) ტექნოლოგიების გამოყენება რეალური ობიექტის ანალოგ-მოდელებზე ხორციელდება. ყოველივე ეს სტუდენტს პრაქტიკული მუშაობისა და გადაწყვეტილების მიღების უნარს უვითარებს, მოსწავლეს კი ახალი ინფორმაციის ათვისებისა და ამ რეალობაში აქტიური როლის თამაშისაკენ უბიძგებს.

უნდა აღინიშნოს, რომ, მიუხედავად სწავლების აქტიური მეთოდების დიდი მნიშვნელობისა, ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ლექცია-სემინარების შემცვლელ საშუალებად. მიზანშეწონილია მათი გონივრული შერწყმა. სიმულაციური თამაშები და ზემოთ აღნიშნული სხვა მეთოდები პრაქტიკაა სწავლის პროცესში, მანამდე კი მას წინ უნდა უძღოდეს ლექცია და ტრადიციული სასწავლო პროცესის ყველა კომპონენტი, რაც ჯამში საუკეთესო შედეგს იძლევა.

ირმა ტყემალაძე

დედამიწა ჩვენი საერთო სახლია

დღეს, XXI საუკუნის დამდეგს, საქართველო თავისი განვითარების კიდევ ერთ რთულ პერიოდს გადის. დღეს, როგორც არასდროს, კაცობრიობა ეკოლოგიური პრობლემების წინაშე დგას, რაც არა მარტო ერთი სკოლის, ერთი ქალაქის, ერთი ქვეყნის, არამედ მთელი პლანეტის სატკივარია.

თხუთმეტი წელია, სკოლა-ლიცეუმ „NK”-ში, ყოველი წლის 22 აპრილს, დედამიწის დაცვის დღის აღსანიშნავად, სხვადასხვა ღონისძიება და სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია ტარდება, რომლის სულისჩამდგმელია სკოლის ხელმძღვანელი, ბატონი **ნუგზარ ყენია** და პედკოლექტივი. სკოლა-ლიცეუმში, სტანდარტზევით სწავლების ფარგლებში, შემოღებულია ეკოლოგიური განათლება (V-VIII კლასებში), წარმატებით ფუნქციონირებს ეკოკლუბი, რომელშიც გაერთიანებული არიან მოსწავლეები V-დან XII კლასის ჩათვლით. კლუბს მჭიდრო კავშირი აქვს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ეკოლოგიის კაბინეტთან. პერიოდულად იწვევენ სპეციალისტებს, რომლებიც მოსწავლეებს ლექციის სახით აწვდიან უახლეს ინფორმაციას.

საქართველოს კათალიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის მოწოდებას მოსახლეობისადმი, წელიწადში თორმეტი ხის ნერგის დარგვის თაობაზე, დიდი გულმოდგინებით შეუერთდნენ სკოლა-ლიცეუმ „NK”-ს მოსწავლეები და 22 აპრილს, ვერის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე დაირგო ნეკერჩხლის, აკაციის და იფნის ნერგები. ეს ის ტერიტორიაა, რომლის მოვლა-გაშენება პარკის დირექციასთან შეთანხმებით, სკოლა-ლიცეუმის პატრონაჟით ხორციელდება. დარიგდა ბუკლეტები სახელწოდებით „დედამიწა ჩვენი საერთო სახლია”, რომლებიც თავად მოსწავლეებმა დაამზადეს. II კლასის აღსაზრდელებმა ფერადი ცარცებით მოხატეს ეზო.

მსგავსი ღონისძიება გასულ წლებშიც ხორციელდებოდა, მაგრამ ამჯერად განსაკუთრებული ხასიათი შეიძინა, რადგან სკოლა-ლიცეუმი „NK” ვერის პარკის ტერიტორიაზე მდებარეობს. პარკის კეთილმოწყობა კი ორმაგ პასუხისმგებლობას ანიჭებს ამ სკოლის მოსწავლე ახალგაზრდობას. სკოლის დირექცია მზადყოფნას გამოხატავს, რომ ეს ღირსეული ტრადიცია დამკვიდრდეს და უფრო მასშტაბურ ღონისძიებებში გადაიზარდოს.

მოსწავლე ჟურნალისტი

სევდის ნიჟარები

ნაზი ამირეჯიბი
144-ე საჯარო სკოლის IX^ბ
კლასის მოსწავლე

ახლაც იქ ვარ... ახლაც ყურში ჩამესმის ზღვის შრიალი, კენჭების ხმაური ზღვის ღელვის დროს... ახლაც სიცხეა, მაგრამ სანაპირო... ახლა მხოლოდ მოლოდინის ცივი სევდა მიყუჟულა სადღაც ჩემში და ცდილობს, ყველა სხვა ფიქრი და ოცნება განდევნოს. მაინც ვოცნებობ და ვიგონებ...

სიცხეა... სანაპირო სავსეა ხალისიანი ხმაურით, ბავშვების ჟრიამულითა და თბილი მზით. ჯერჯერობით მხოლოდ მარილის მძიმე ფენისაგან ვმძიმდები, მაგრამ იმედს არ ვკარგავ, რომ ქვიშაში ფეხშიშველა მოტანტალე ბავშვებიდან რომელიმე შემამჩნევს, მიპოვის, ჩემგან სამაჯურს ან ყელსაბამს გაიკეთებს, ან უბრალოდ, ჯიბეში მომათავსებს და სამახსოვროდ შემინახავს. მშვენიერია ცხოვრება, მეჩვენება, რომ ყველას ჩემსავით უხარია სიცოცხლე და მეც ბედნიერი ვარ. რაღაც მიხარია, ალბათ სიმშვიდე და სილამაზე ირგვლივ, კიდევ მზე, ზღვა და უსასრულობაში ჩაძირული ცა. ოქროს თევზებთან ერთად ჩამავალი მზის ყურებაც მიყვარს, ღამით კი ვარსკვლავებთან მომუსაიფე მთვარის ცქერა. შუადღის ფიქრიც მიყვარს უმისამართო...

ის დილა უჩვეულოდ ხმაურიანად გათენდა, ჯერ ისეთი გამაყრუებელი ხმაური იყო, ზღვაც კი შეკრთა, უსიამოვნო მოლოდინში გაინაბა, მერე სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ხალხის გამოჩენას ამაოდ ველოდით სანაპიროზე, „ადამიანები იხოცებიან აქვე ახლოს, ომია, გესმის?!“ – ჩამჩურჩულა ნიავმა. ერთ წამში სამყარო შეიცვალა ჩემს ირგვლივ, ყველაფერი განადგურდა, მოისპო, ჩემს თვალში ზღვა სისხლისფრად შეიღება, ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსა, ახლა აღარც ჩემი სილამაზე სჭირდება ვინმეს, ტალღები უსაშველოდ ბობოქრობენ, მახსოვს ეს შეგრძნება: მეშინია...

იბომბება სოხუმი, იხოცებიან ადამიანები, ობლდებიან ბავშვები, ქვრივდებიან ქალები და მე არ შემიძლია, ხმა ამოვიღო, ვიყვირო, შევემუდარო ადამიანებს: რატომ? რისთვის ეს ყველაფერი? ვხედავ, ადამიანები როგორ გარბიან, სხდებიან ნავებში, გემებში, ავტომობილებში და უკანმოუხედავად ტოვებენ მათ საყვარელ ქალაქს, ზღვას, სანაპიროს... ბავშვები ცრემლიანი თვალებით ემშვიდობებიან მზეს, მათთან ერთად უკანმოუხედავად მტოვებს იმედი, ხალისი და ბედნიერების განცდა.

ახლაც იქ ვარ, სევდის ნიჟარად გადაქცეული... დავდივარ ჩემი სულის სევდიან ხვეულებში, დავეძებ იმედს, რწმენას, მაინც არ მტოვებს ოცნება ლამაზ მომავალზე, ეგებ ვინმემ მიპოვოს, დამიბრუნოს და მეც დავიბრუნო ჩემი დაკარგული სილამაზე. ვინ იცის!

კონკურსი

„ფრენა მზესთან ერთად“

24 აპრილს, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სამხატვრო გალერეაში, გაიმართა ნორჩ მხატვარ-დიზაინერთა რესპუბლიკური კონკურსი, რომლის ორგანიზატორები იყვნენ: სსიპ თბილისის პროფესიული სწავლების ცენტრი „მარგი“ (დირექტორი – **დავით უგულავა**), აერონავტიკის საერთაშორისო ფედერაცია „FAI“ და სსიპ თბილისის სამხატვრო სასწავლებელი (დირექტორი – **ნოდარ მუმლაძე**). საკონკურსოდ ორიგინალური თემატიკა შეირჩა – „ფრენა მზესთან ერთად“, კონკურსის გამართვის წესი და პირობები განსაზღვრული იყო დებულებით, რომლის ძირითადი მოთხოვნა იყო, რომ ყველა ნახატი ხელით ყოფილიყო შესრულებული. კომპიუტერული ნახატები საკონკურსოდ არ დაიშვებოდა. თითოეულ მონაწილეს თითო ნახატი უნდა წარმოედგინა.

კონკურსს საქართველოს სხვადასხვა რეგიონების სკოლები გამოეხმაურენ. განსაკუთრებული აქტივობით გამოირჩეოდა: ახალციხისა და ასპინძის რაიონები; ქალაქები: ვალე, სენაკი, სამტრედია, ხობი, დუშეთი, გურჯაანი და თბილისი. წარმოდგენილი 250 ნახატიდან საკონკურსოდ 200 შეირჩა და ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სამხატვრო გალერეაში გამოიფინა.

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ: **ნოდარ მუმლაძე**, სამხატვრო სასწავლებლის დირექტორი (ჟიურის თავმჯდომარე); **ოლეგ ალავიძე**, ხელოვნების უნივერსიტეტის პროფესორი; **მერაბ ჯოხაძე**, კინოსა და თეატრის მხატვარი; **ბორის თოფურია**, მხატვარ-დიზაინერი, პედაგოგი. ჟიურიმ შეარჩია საკონკურსო ნახატები და გამოავლინა გამარჯვებულები, სამ ასაკობრივ ჯგუფში:

I ჯგუფი – 2000-2003 წ.წ.
ქეთი შალუტაშვილი – თბილისი;
ბორის ვაშაკიძე – სამტრედია, დიდი ჯიხაიში;
მაია დანელია – თბილისი.

II ჯგუფი – 1996-1999 წ.წ.
ნინო სარიშვილი – თბილისი;
თამუნა თავაძე – თბილისი;
ივანე ბურჯანაძე – თბილისი.

III ჯგუფი – 1993-1995 წ.წ.
მეგი შაიაშვილი – თბილისი;
თეონა თიგიშვილი – თბილისი;
ნინო შალამბერიძე – თბილისი.

გამარჯვებული მოსწავლეები ფასიანი საჩუქრებითა და სიგელებით დაჯილდოვდნენ.

გამარჯვებული სურათები შვეიცარიის ქალაქ ლოზანაში გაიგზავნება.

სერგო ვართანესოვის ფოტოები

გზა წიგნიერებისაკენ



ძალიან გულსატკენია, რომ ჩვენმა მოსწავლე ახალგაზრდობამ დაივიწყა წიგნი და საათობით კომპიუტერებს არიან მიჯაჭვულნი, რაც მიზეზია იმისა, რომ არ იცნობენ არც ძველ და არც თანამედროვე მწერლების ცხოვრებასა და შემოქმედებას. სწორედ ამან გადაგვაწყვეტინა მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკაში (რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობისათვის განკუთვნილი სპეციალიზებული დაწესებულებაა და თავისი პროფილიდან გამომდინარე საბიბლიოთეკო და ბიბლიოგრაფიულ მომსახურებას უწევს მოსწავლეებს და სტუდენტ-ახალგაზრდობას) ჩაგვეტარებინა ვიქტორინა-კონკურსი – „რა ვიცით ქართული წიგნის შესახებ“.

კონკურსის მთავარი მიზანი იყო, დაგვეინტერესებინა მოსწავლეები წიგნით, გაცნობოდნენ ძველ დამწერლობას, წიგნის ბეჭდვის ისტორიას, ძველი და თანამედროვე მწერლების შემოქმედებას.

აღსანიშნავია, რომ ამ პროექტის შედგენაში დიდი წვლილი შეიტანეს მცხეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სასპორტო დაწესებულებების გაერთიანების გენერალურმა დირექტორმა, ბატონმა **გოჩა ქავთარაძემ** და ამ გაერთიანებასთან არსებული შოთა რუსთაველის სახელობის ცენტრალური ბიბლიოთეკის მთავარმა სპეციალისტმა, ქალბატონმა **ელისაბედ ჩიხლაძემ**. მათი დიდი ძალისხმევით მცხეთის რაიონის სკოლებს შორის მაღალ დონეზე ჩატარდა ვიქტორინა-კონკურსი. გამოვლინდნენ გამარჯვებული სკოლების გუნდები, რომლებიც 18 მაისს თბილისის გამარჯვებული სკოლების გუნდებს შეხვდებიან.

ვიქტორინა-კონკურსი „რა ვიცით ქართული წიგნის შესახებ“ სამ ტურად ტარდება: პირველი ტური არის შიდა სარაიონო, სადაც თბილისის ხუთი რაიონის საჯარო და კერძო სკოლების, ლიცეუმების და გიმნაზიების მოსწავლეები შეეჯიბრებიან ერთმანეთს. მეორე ტური არის საქალაქო, სადაც გამოვლინდება თბილისის გამარჯვებული გუნდები, რომლებიც ფინალში, 18 მაისს შეხვდებიან მცხეთის გამარჯვებულ გუნდებს. აქ გამოვლინდებიან I, II, III ადგილის პრიზიორები, რომლებსაც სიგელები და ფასიანი საჩუქრები გადაეცემათ.

ვიქტორინა-კონკურსში აქტიურად ჩაერთნენ თბილისის სასწავლო დაწესებულებები, რაც ფრიად მისასალმებელია. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ დიდი მადლობა გამოვუცხადო იმ სასწავლო დაწესებულებების ხელმძღვანელებს და მასწავლებლებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს პროექტს და ვიქტორინა-კონკურსში მონაწილეობენ.

კონკურსი 22 მარტს დაიწყო. პირველ კვირას ერთმანეთს გლდანი-ნაძალადევის სკოლები შეეჯიბრნენ, გამოვლინდა ნახევარფინალში მონაწილე გუნდები, მეორე კვირას ისან-სამგორის რაიონის მოსწავლეებს შორის გაიმართა პაექრობა, მომდევნო კვირის დღეებში ასპარეზობას მთაწმინდა-კრწანისის, ვაკე-საბურთალოს და დიდუბე-ჩუღურეთის სასწავლო დაწესებულებების გუნდები გააგრძელებენ.

სასიხარულოა, რომ კონკურსში 100-ზე მეტი საჯარო და კერძო სკოლა, ლიცეუმი და გიმნაზია მონაწილეობს. ვფიქრობთ, ვიქტორინა-კონკურსმა კარგი შედეგი გამოიღო – უკვე გამარჯვებად მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ ბავშვები გულწრფელ მადლობას გვიხდიან ამ კონკურსის ორგანიზებისათვის, რადგან მათ ბევრი მასალა მოიძიეს, გაეცნენ და გარკვეული ცოდნაც შეიძინეს.

ამ პროექტმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ ძალიან ნიჭიერი თაობა გვყავს, მთავარია, მათ გონებრივ განვითარებას და შემოქმედებით პოტენციალს სწორი მიმართულება მივცეთ, არ გავაზარმაცოთ და არ დავამახინჯოთ მათი სულები, ეს კი დამოკიდებულია ჩვენზე, უფროს თაობაზე, აღმზრდელებზე და სკოლის პედაგოგებზე.

გვინდა ვიქტორინა-კონკურსი „რა ვიცით ქართული წიგნის შესახებ“ ტრადიციული გავხადოთ და გარდამავალი ჯილდო დავაწესოთ. ჩვენი დიდი სურვილია, იმ სკოლის დირექტორები, რომლებმაც ობიექტურ თუ სუბიექტურ მიზეზთა გამო ვიქტორინა-კონკურსში მონაწილეობისგან თავი შეიკავეს, შემდგომში მაინც ჩაერთონ ჩვენს პროექტში.

ძეთევან ნიკურაძე

მირზა გელოვანის სახელობის ახალგაზრდობის ბიბლიოთეკის გამგე

„ქართული ქართველთ რწმენაა!“

ქართველებისათვის, ერთ-ერთი უძველესი ხალხისათვის მსოფლიოში, ყველაზე დიდი მონაპოვარი-საგანძური ქართული ენაა. უქარქაშო ხმლების პატრონებმა ფარითა და მახვილით გამოატარეს იგი ისტორიულ ქარტეხილებს და დღემდე მოგვიტანეს, როგორც ნიშანი ეროვნული თვითმყოფადობისა.

წინაპართაგან დარჩენილი სამი საუნჯიდან ერთ-ერთი – ქართული ენა – იყო, არის და მუდამ იქნება ჩვენთვის სალოცავი ხატი.

ასე იყო ვაჟასთვის, ასე იყო ლადო ასათიანისთვის, გიორგი ლეონიძისთვის, გალაკტიონისთვის, ტიციანისთვის, ირაკლი აბაშიძისთვის, იოსებ ნონეშვილისთვის, მუხრან მაჭავარიანისთვის...

ჩვენ მათ პოეზიაზე გავიზარდეთ და ამიტომ არის „მრავალჭირგადანახადი“, „სიტყვაქარგული“ „სიყვარულის, ლექსის, სადღეგრძელოს ენა“ თითოეულ ჩვენგანში „ოქროსხმიან სიმებად გულში ამოხლართული“.

სწორედ ამ სულისკვეთებით იზრდება მომავალი თაობა საგარეჯოს შ.პ.ს „თამარ გარეჯელის“ ეროვნულ კერძო სკოლაში. აქ უდიდესი ყურადღება ექცევა მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლებას, მისი სიწმინდის დაცვას, ხშირად იმართება იუბილარ მწერალთა საღამოები, ლიტერატურული ვიქტორინა-კონკურსები, მოსწავლეებს სტუმრობენ შემოქმედი ადამიანები... ეს გასაკვირი არც არის, რადგან სკოლას სათავეში უდგას ფილოლოგი, ქართულ ენასა და მწერლობაზე უზომოდ შეყვარებული ქალბატონი – **თამარ საგინაშვილი**.

სკოლის პედკოლექტივი და მოსწავლე ახალგაზრდობა ქართული ენის დღეს – 14 აპრილს ღირსეულად მომზადებული შეხვდა. ღონისძიებაზე სტუმრად მოიწვიეს მშობლები, რაიონის ცნობილი ადამიანები.

მოსწავლეებმა მსმენელს უამბეს ქართული ენის თავგადასავლის შესახებ (**შოთა ძიძიგურის** წიგნის მიხედვით), გაახსენეს ავტორიტეტიან ადამიანთა გამონათქვამები ჩვენს უძველეს ენაზე; მხატვრულად წაიკითხეს მშობლიური ენისადმი მიძღვნილი ქართველ პოეტთა ლექსები; უმღერეს დედასამშობლოს, დედაენას, ისტორიულ გმირებს, შეასრულეს ცეკვები: „ქართული“, „მთიელ ქალთა“, „აჭარული“; გამართეს ვიქტორინა-კონკურსი „ვინ მეტი იცის ქართული ენის შესახებ?“; ისაუბრეს ფერეიდანში შემონახული ჩვენი ძველქართული ენის შესახებ.

საინტერესო ღონისძიებით კმაყოფილმა სტუმრებმა მადლობა გადაუხადეს ორგანიზატორებს, პედაგოგებს: **მარიკა ჭიაბერაშვილს, ლუიზა ორკოშნელს, ანა მგალობლიშვილს, ელზა ზაკალაშვილსა** და **ნანა ბეჟიტაშვილს.**

სკოლის დირექციისა და პედკოლექტივის მიზანია, აღზარდონ ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი მოქალაქეები, რომელთაც ექნებათ ურთიერთპატივისცემის, ურთიერთგაგების და ურთიერთშემეცნების ჩვევები.

ლეილა არჩემაშვილი

სპორტი

ქუმარიტაშვილის ხსოვნის ტურნირი

ვანკუვერში, „უინსლეტის“ ტრასაზე დაღუპული ნოდარ ქუმარიტაშვილი კვლავაც მსოფლიოს სპორტული საზოგადოების ტკივილად რჩება. ამ დღეებში ციგაობის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა დასკვნა და, როგორც იქნა, ტრასის სახიფათოობა აღიარა, რითაც ქუმარიტაშვილის უდანაშაულობაც დამტკიცდა, თუმცა ეს ჩინოვნიკების გარდა, არც აქამდე ეეჭვებოდა ვინმეს.

ამ შაბათ-კვირას დედაქალაქის 142-ე საჯარო სკოლამ ქუმარიტაშვილის სახელობის ტურნირს უმასპინძლა ფრენბურთში, რომელშიც 8 გუნდი მონაწილეობდა, აქედან 6 თბილისური იყო, ორი სტუმარი კი ბორჯომიდან მოიწვიეს - ქუმარიტაშვილის მშობლიური ბაკურიანისა და ბორჯომის №6 საჯარო სკოლები.

როგორც მთელ საქართველოში და მსოფლიოს პროგრესულ ნაწილში, 21 წლის ქუმარიტაშვილის ტრაგედიამ 142-ე სკოლაშიც გლოვა გამოიწვია. აქაურები მაშინვე დაუკავშირდნენ ბაკურიანელ კოლეგებს და მალე სტუმრადაც ეწვივნენ, მოინახულეს სპორტსმენის საფლავი და კიდევ ერთხელ მიაგეს პატივი მის ხსოვნას. ამ ტურნირის ჩატარების იდეაც მაშინ გაჩნდა, მონაწილეებად კი გადაწყვიტეს, დედაქალაქის ყოველი რაიონიდან თითო სკოლა შეერჩიათ, მათი არჩევა რაიონულ რესურსცენტრებს მიანდეს. მონაწილის ადგილი მასპინძლებს ავტომატურად ერგოთ, როგორც ბაკურიანის საჯარო სკოლას. მასპინძელთა სურვილი იყო, ტურნირში ბორჯომის რაიონსაც ჰყოლოდა ცალკე წარმომადგენელი, ვინაიდან ბაკურიანელებს კონკრეტული მისია ეკისრებოდათ – ქუმარიტაშვილის აღმზრდელ სკოლას წარმოადგენდნენ. საამისოდ იქაურებმა ბორჯომის VI საჯარო სკოლა შეარჩიეს, თბილისელთაგან კი ისნის რაიონის ღირსებას №172 სკოლის გუნდი იცავდა, გლდანი-ნაძალადევისას – №115, მთაწმინდა-კრწანისს – №51, დიდუბეს – №155, ხოლო ვაკე-საბურთალოს – პირველი ექსპერიმენტული საჯარო სკოლა. მასპინძლებს ტურნირის ორგანიზებაში გლდანი-ნაძალადევის გამგეობა, ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ორგანიზაცია, განათლებისა და მეცნიერების მუშაკთა თავისუფალი პროფკავშირი, დედაქალაქის მერია და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო დაეხმარნენ. ქების ღირსია ბორჯომის გამგეობაც, რომელმაც იქაური სკოლების თბილისში ჩამოსვლა და ტურნირში მონაწილეობა უზრუნველყო.

შეჯიბრება ორი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ამავე სკოლის დარბაზში, რომელიც მსგავსი ღონისძიებებისთვის შეუფერებელია. სამწუხაროა, რომ ამ სკოლის მწირ სპორტულ ბაზაზე ისევ გვიწევს საუბარი! ამის მოგვარებას საშველი არა და არ დაადგა, თუნდაც ღია მოედანი რომ გაუკეთონ სკოლას. რაიონის ხელმძღვანელთა არაერთი დაპირებაც ჯერჯერობით „ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინად“ რჩება და აქაურებს არც წინასაარჩევნო კამპანიები შველით. სირცხვილია - როცა თბილისში ასეთი მდგომარეობაა, რეგიონებს ვინ მიხედავს!

ფინალური შეხვედრები კვირას გაიმართა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ერთმანეთს ბორჯომელები შეხვდნენ – ბაკურიანელებმა მეექვსესკოლელები დაამარცხეს და ბრინჯაოს მედლებსაც დაეუფლნენ, მთავარ ფინალში კი ერთმანეთს მასპინძლები და 115-ე სკოლის გუნდები შეხვდნენ. ფინალს მრავლად ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: რაიონის ხელმძღვანელობა, პროფკავშირისა და სამინისტროს წარმომადგენლები, საზოგადოების ცნობილი სახეები, რომელთა შორის ამავე სკოლის კურსდამთავრებული, პოპულარული იუმორისტული პროგრამის წამყვანი ვანო ჯავახიშვილიც იყო. სკოლის შენობაში შესვლისას თვალში გეცემოდათ დიდი სტენდი, რომელზეც ქუმარიტაშვილის ფოტოები, ამავე სკოლის მოსწავლეთა თუ მასწავლებელთა ლექსები და ჩანახატები იყო გამოფენილი. ტურნირზე ქუმარიტაშვილის ოჯახის წევრებსაც ელოდნენ, მაგრამ ჩამოსვლა ვერ მოახერხეს. დედა სტუმრობას რომ ვერ შეძლებდა, ადრევე იცოდნენ – შვილის ტრაგიკული დაღუპვა მოუნელებელ ელდად ექცა მშობელს და ჯანმრთელობა არ უწყობდა ხელს ჩამოსასვლელად, მამა და და ახალგაზრდა ნათესავის დაღუპვამ შეაფერხა.

ფინალური შეხვედრა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და საბოლოოდ, 115-ე სკოლელთა გამარჯვებით დასრულდა. გამარჯვებულ გუნდებს თასები და სიგელები გადაეცათ, დაჯილდოების ცერემონიალი კი ფრიად პომპეზური გამოდგა. მასში სკოლის მოცეკვავეთა ანსამბლი მონაწილეობდა, რომელმაც დარბაზში მრავლად შეკრებილ მაყურებელს ლამაზი სანახაობა შესთავაზა, კულმინაციად ნოდარ ქუმარიტაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სიმღერა იქცა. ტექსტის ავტორი სკოლის დირექტორი **სოსო ლაგვილავაა**, მუსიკის ავტორი – კომპოზიტორი **ჯანო თითირაშვილი**, სიმღერა ამავე სკოლის მოსწავლემ, რამდენიმე საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულმა **მარიამ კაპანაძემ** შეასრულა, რომელიც სულ მალე უკრაინაში მორიგ კონკურსზე მიემგზავრება. მასპინძლებმა და ბორჯომელმა სტუმრებმა სამახსოვრო საჩუქრები გაცვალეს, 142-ე სკოლა კი საყურადღებო ინიციატივისთვის საქართველოს ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმაც დაჯილდოვა.

არაა გამორიცხული, ეს ტურნირი ტრადიციული გახდეს. ყოველ შემთხვევაში, მასპინძლებს საამისო სურვილი აქვთ, თუ არ მოხერხდება, ბაკურიანის საჯარო სკოლასთან მაინც გააგრძელებენ მეგობრობას. აქვე იმ სპორტულ ტრადიციებზეც ვთქვათ, რომელიც ბაკურიანის სკოლას აქვს. სპორტის ზამთრის სახეობები, ძირითადად, ამ დაბაშია განვითარებული და სკოლასაც ძალიან ბევრი ოლიმპიელი გაუზრდია, ხოლო ვანკუვერის ამ ტრაგიკულ ოლიმპიადაზეც, სადაც ქუმარიტაშვილი დაიღუპა, სამი წარმომადგენელი ჰყავდა, ნოდარის თანაკლასელები – სამთომოთხილამურე **იასონ აბრამაშვილი** და მოციგავე **ლევან გურეშიძე**.

სამბისტების წარმატება

ახალგაზრდა და ჭაბუკმა სამბისტებმა დიდი წარმატებით იჭიდავეს ბერძნულ მუდანიაში, ევროპის პირველობაზე. სალონიკთან ახლოს მდებარე ქალაქში ორივე ნაკრებმა, ჯამში, 15 მედალი მოიპოვა. ახალგაზრდების მონაგარი ოთხი ოქრო, ორი ვერცხლი და ერთი ბრინჯაოა. ჩემპიონები გახდნენ: **გიორგი ნადარეიშვილი** (48), **ზებედა რეხვიაშვილი** (74), **ვახტანგ სარაჯიშვილი** (82) და **ლევან მუქერია** (+100), ვერცხლი **გენადი ჩირგაძემ** (57) და **გიორგი ტაბატაძემ** (62) მოიპოვეს, მესამე ადგილზე კი **ზაზა დავაძე** (90) გავიდა. ასეთი შედეგით ახალგაზრდულმა ნაკრებმა გუნდურ ჩათვლაშიც გაიმარჯვა.

ჭაბუკებმა ორი ოქრო, ოთხი ვერცხლი და ორიც ბრინჯაო მოიპოვეს. ოქროს მედლები **გიგა გიუნაშვილმა** (56) და **გოჩა ვარძელაშვილმა** (65) დაისაკუთრეს, ვიცე-ჩემპიონები **გიორგი საჩალელი** (52), **გიორგი კაცია** (60), **მიხეილ ჩოხელი** (70) და **სლავა რეზესიძე** (+87) გახდნენ, ბრინჯაოს კი **ლერი ჯიხვაშვილი** (48) და **ალექსანდრე მილდიანი** (87) დაეუფლნენ. ეს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მეორე იყო.

სამბისტების ჩასვლამდე ორი დღით ადრე მუდანიამ ახალგაზრდა ძიუდოისტთა ევროპის თასსაც უმასპინძლა, სადაც ჩვენი ნაკრები ასევე წარმატებით გამოვიდა. თუმცა, შედეგზე უფრო მნიშვნელოვანი თვით მონაწილეობის ფაქტია – ახალგაზრდებს წლეულს ევროპისა და მსოფლიოს პირველობები ელოდებათ, მაგრამ ვერ აფინანსებდნენ, მოზარდებისთვის კი ტურნირი ჰაერივით აუცილებელია. საბედნიეროდ, თანხა გამოიძებნა და თავი არც მოჭიდავეებს შეურცხვენიათ – ოთხი ოქროს, ერთი ვერცხლის და ოთხი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ჩემპიონები **ჯაბა ჯიქურაული** (55), **ლაშა შავდათუაშვილი** (66), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81) და **არჩილ შინჯიკაშვილი** (90) გახდნენ. ვერცხლის მედალი **ირაკლი დგებუაძემ** (73) მოიპოვა, ბრინჯაოს – **თორნიკე თათარაშვილმა** (60), **ანზორ ხმიადაშვილმა** (73), **მიხეილ ნარიმანიძემ** (100) და **როსტომ ხახალეიშვილმა** (+100).

ჭაბუკების წარმატებული მოთელვა

25-27 ივნისს გასამართი ევროპის ჩემპიონატის წინ ბოლო მოთელვა გაიარეს ჭაბუკმა ძიუდოისტებმა, რომლებმაც ევროპის თასზე სწორედ მომავალი ტურნირის მასპინძელ ქალაქში – ჩეხურ ტეპლიცეში იჭიდავეს. იქ ჩვენი ნაკრები არასრული შემადგენლობით გაემგზავრა, რადგან ზოგიერთ წონით კატეგორიაში საევროპო ნაკრების წევრი უკვე გამოვლენილია. ნაკრების თავკაცმა **რამაზ ჩოჩიშვილმა** ამჯერად იმ წონების წარმომადგენლები წაიყვანა, სადაც კონკურენცია კვლავაც გრძელდება. შედეგიც საინტერესო მიიღო – 66 კილოგრამ წონით კატეგორიაში ქართული ფინალი გაიმართა. სწორედ ეს წონაა ერთ-ერთი ყველაზე გაურკვეველი და ძლიერი კონკურენციით გამორჩეული. აქ საქართველოს ჩემპიონატის ფინალში **თომა თავზარაშვილმა პავლე ქავთარაძე** დაამარცხა, მომდევნო შესარჩევ ტურნირში ორივე მესამე იყო, ამჯერად კი ქავთარაძემ ბრწყინვალე რევანში აიღო და ოქროსაც დაეუფლა, კონკურენტი კი ვერცხლს დააჯერა. ამ ურთულეს კონკურენციაში გადამწყვეტი სიტყვა მწვრთნელს ეკუთვნის, ჩვენი ნაკრების მონაგარი კი კიდევ ერთი ოქროს მედალია, რომელიც **გელა კელეხაშვილმა** (50) მოიპოვა. ის საქართველოს ჩემპიონიცაა და ამ მედლით საბოლოოდ გაინაღდა ადგილი საევროპო ნაკრებში.

რუბრიკას უძღვება ირაკლი თავაძე

ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-პანსიონი

„კომაროვი“

სასწავლებლად უხმობს ყველას, ვისაც ინტელექტუალური გამოწვევა უყვარს!

თბილისის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-პანსიონი „კომაროვი” 40 წელზე მეტია, რაც არსებობს. თავისი არსებობის მანძილზე ტრადიციულად ორიენტირებულია ზუსტი და საბუნებისმეტყველო დისციპლინების გაღრმავებული სწავლების მიმართულებით. სწავლება მე-7 კლასიდან მიმდინარეობს. სკოლა-პანსიონი თავს უყრის საქართველოს ყველა კუთხიდან ნიჭიერ მოსწავლეებს. ისინი პანსიონში ცხოვრობენ. პანსიონში შესვლისთანავე მიხვდებით, რომ აქ, ამ კედლებში პატარა საქართველოა (სკოლა-პანსიონში თბილისელებთან ერთად სწავლობენ საქართველოს ყველა კუთხის წარმომადგენლები, სულ 33 რაიონიდან...) მართლაც, მარტო ტერიტორია ხომ არ არის სამშობლო, სკოლაც თავისი მოსწავლეებით საქართველოს ნაწილია, ლამაზი, საძირო, აუცილებელი, შეკრებილი, სათუთად მოვლილ-ნაპატრონები. სკოლას ბევრჯერ შეეცვალა სახელი, თუმცა წარმატებები და გამარჯვებები არ დაჰკლებია.

ამჟამად სკოლის ბალანსზე ინფორმატიკის, ფიზიკისა და მათემატიკის საერთაშორისო ოლიმპიადების 2 ოქროს, 10 ვერცხლის, 28 ბრინჯაოს მედალი და 14 საპატიო სიგელია

2009 წელს მათემატიკის 50-ე საერთაშორისო ოლიმპიადაზე, გერმანიაში, ლაშა ლაკირბაიამ მოიპოვა ვერცხლის მედალი, ლაშა ფერაძემ კი ბრინჯაოს მედალი. ამავე წელს მექსიკაში ჩატარებულ ფიზიკის მე-40 საერთაშორისო ოლიმპიადაზე შოთა გარუჩავამ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოს ნაკრები ფიზიკაში სრულად კომაროველებით იყო დაკომპლექტებული.

ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-პანსიონმა „კომაროვმა“ მიიღო უფლება სპეციალური სახელმძღვანელოებითა და გაღრმავებული პროგრამით ასწავლოს ფიზიკა, მათემატიკა და ინფორმატიკა. სკოლაში არანაკლები ყურადღება ეთმობა სხვა საგნების სწავლებასაც, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ სკოლას ეროვნულ ოლიმპიადებში გარდა ფიზიკის, მათემატიკისა და ინფორმატიკისა, თითქმის ყველა საგანში ჰყავს გამარჯვებული. 2005-2009 სასწავლო წლებში, ეროვნული გამოცდების შედეგად კი სკოლის ყველა კურსდამთავრებული სტუდენტი გახდა, მათგან უმრავლესობა სახელმწიფო გრანტის მფლობელია.

აღსანიშნავია, რომ 2009 წლის კურსდამთავრებულმა ნინა ცატუროვამ იესემ-თბილისის მიერ ჩატარებულ ოლიმპიადაზე მიღწეული გამარჯვების გამო ამ ინსტიტუტის სრული 4-წლიანი დაფინანსება მიიღო. ასევეთვე გამარჯვება მოიპოვა 2010 წელს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში მარიამ დანიელოვამ და აქ ჩარიცხვის შემთხვევაში მას სრულ დაფინანსებას სთავაზობენ.

სკოლაში ისწავლება რუსული, ინგლისური, გერმანული და ფრანგული ენები

სკოლის მოსწავლეთა დიდი ნაწილი სწავლობს ლომონოსოვის უნივერსიტეტის დაუსწრებელ სკოლაში, რაც მათ აძლევს საშუალებას არა მარტო ფიზიკასა და მათემატიკაში გაიღრმავონ ცოდნა, არამედ რუსული ენაც საფუძვლიანად ისწავლონ.

2010 წლიდან სკოლაში ამუშავდება საქართველოში საფრანგეთის საელჩოსთან ერთობლივად შემუშავებული პროექტი, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება მოსწავლეთა ფრანგულენოვან უმაღლეს სასწავლებლებისათვის მომზადებას, რათა მათ შეძლონ საზღვარგარეთის პრესტიჟულ სასწავლებლებში სწავლის გაგრძელება.

სკოლაში ფუნქციონირებს რამდენიმე კომერციული პროგრამა, თუმცა წარჩინებულთთათვის სწავლა აქაც უფასოა. ერთ-ერთი ასეთი წარმატებული პროექტია SAT–პროექტი, რომელიც ფუნქციონირებს X-XI კლასის მოსწავლეთათვის. აქ ფიზიკას, მათემატიკასა და ზოგად უნარებს ინგლისურ ენაზე ასწავლიან. ამ პროგრამის დაძლევის შედეგად სკოლის მოსწავლეები წარმატებით აბარებენ გამოცდებს ამერიკის, ინგლისის, ბულგარეთის, ჩეხეთის ინგლისურენოვან სასწავლებლებში. მათგან განსაკუთრებით წარჩინებულებს 100%-იანი დაფინანსებით ეპატიჟებიან მსოფლიოს წამყვანი უმაღლესი სასწავლებლები. ამ პროექტის შედეგად 2009 წელს მიხეილ მაჩაბლიშვილი სრულად დაფინანსდა ამერიკის სამხედრო საზღვაო აკადემიაში სწავლის გასაგრძელებლად, ხოლო ლევან დარსალიამ ლონდონის ბიზნესსკოლაში მიიღო დაფინანსება. 2010 წელს, ამერიკაში, კოლბის უნივერსიტეტში, ფიზიკისა და ინჟინერიის ფაკულტეტზე 100%-იანი დაფინანსებით ჩაირიცხა გურამ გოგია, სალომე კუჭუხიძე კი ასეთივე დაფინანსებით ჩაირიცხა ჰამილტონის უნივერსიტეტში.

მიუხედავად იმისა, რომ სკოლა მხოლოდ საბაზო და საშუალო საფეხურის (VII-XII კლასები) პროფილურ პროგრამას ახორციელებს, აქ უმცროსკლასელთათვის ფუნქციონირებს „შაბათის სკოლა“, სადაც უაღრესად საინტერესოდ მიმდინარეობს მათემატიკის სწავლება. „შაბათის სკოლაში“ მიღება, თითქმის, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდება.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით სკოლას მიენიჭა ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-პანსიონის სტატუსი და ახალი სასწავლო წლიდან, უკვე გარემონტებული პანსიონის ბაზაზე, 200-მდე ნიჭიერი მოზარდი საქართველოს ნებისმიერი რეგიონიდან შეძლებს ფიზიკა-მათემატიკის სკოლა-პანსიონში უფასოდ სწავლასა და ცხოვრებას.

სკოლა-პანსიონი სახელმწიფო დაწესებულებაა, სადაც სწავლა უფასოა. სკოლაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ცენტრი, სასკოლო ბუფეტი. სკოლას აქვს სილის საფარიანი ფრენბურთის სტადიონი, ხელოვნურსაფარიანი ფეხბურთის სტადიონი, სპორტული და სააქტო დარბაზები. უფასოა აგრეთვე ცხოვრება და კვება პანსიონში მცხოვრები მოსწავლეებისათვის.

მოსწავლეთათვის უფასოდ ფუნქციონირებს წრეები მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში. ამ წრეებზე მოსწავლეები ემზადებიან ეროვნული და საერთაშორისო ოლიმპიადებისათვის.

სწავლისაგან თავისუფალ დროს მოსწავლეებს შეუძლიათ დაესწრონ კომპიუტერის, ჭადრაკის, ფრენბურთის, კალათბურთის, ფეხბურთის, ცეკვის, მხატვრული ტანვარჯიშის წრეებს.

პანსიონში მცხოვრები მოსწავლეების რეჟიმი მკაცრადაა განსაზღვრული და დროის ყოველ მომენტში ისინი აღმზრდელებისა და მასწავლებლების ყურადღების ქვეშ არიან. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ მიმდინარეობს წრეობრივი მუშაობა და თვითმომზადება, სადაც მოსწავლეები ამზადებენ გაკვეთილებს შემდეგი დღისათვის. პანსიონში მცხოვრები მოსწავლეები სკოლის ტერიტორიას მხოლოდ აღმზრდელისა და მშობლის შეთანხმებით ტოვებენ, წინასწარ განსაზღვრული დროით, სპეციალური საშვის საფუძველზე.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სკოლის პედაგოგთა დიდი ნაწილი კომაროვდამთავრებულია, განსაკუთრებით სასიამოვნოა, რომ სკოლაში მუშაობენ კომაროვდამთავრებული ახალგაზრდა პედაგოგები, რომლებიც სულ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ნაკრების წევრები იყვნენ და მსოფლიო ოლიმპიადებზე შთამბეჭდავ წარმატებებს მიაღწიეს, ახლა კი თავად ამზადებენ მომავალ ოლიმპიელებს.

სკოლაში სწავლის მსურველთათვის განცხადებები მიიღება 1 მაისიდან 29 მაისის ჩათვლით, ყოველდღე, გარდა კვირისა, 14 საათიდან 17 საათამდე.
მისამართზე: თბილისი, 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. N49. (სკოლა მდებარეობს მეტრო „დელისის“ მიდამოებში, ვაჟა-ფშაველას პირველ და მეორე კვარტალს შორის)
ელექტრონული ფოსტა: tsumfsi@komaroveli.ge, ან gelamanelidze@gmail.com. ტელეფონი 8-22-39-15-62, ფაქსი 8-22-39-27-81

განცხადებასთან ერთად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი საბუთები: ცნობა სკოლიდან კლასის მითითებით, ბავშვის დაბადების მოწმობის ძსეროასლი, მშობლების (ან მეურვის) პირადობის მოწმობის ასლები (თუ მშობელი გარდაცვლილია, წარმოადგინეთ გარდაცვალების მოწმობის ასლი), 1 ფოტოსურათი 3x4.